დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

_სსიპ- ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ზაზა ჭანტურია

წევრები:

თეა თავაძე-ასათიანი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი.

ქეთევან სადრაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნინო კილაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ინგა გელაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

მარინე რეხვიაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

მეგი კაპანაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

მარინე კვარაცხელია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ირინე შარაბიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნინო ჯოჯიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	244555897

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხეთა
ფაქტობრივი მისამართი	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხეთა
საფოსტო ინდექსი	5800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ვებ-გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kheta@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	597 23 32 43

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 3 26 0000463665, 22/04/2026 MES 5 26 0000482378, 27/04/2026 MES 9 26 0000610649, 22/05/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 28 და 29 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
1	ზოგადი გასნათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებო პროგრამა;	დაწყებითი	სახელმწიფო ენა	ხობის მუნიციპალიტეტი. სოფელ ხეთა. 1 შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო სასფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	სახელმწიფო ენა	ხობის მუნიციპალიტეტი. სოფელ ხეთა. 1 შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	სახელმწიფო ენა	ხობის მუნიციპალიტეტი. სოფელ ხეთა. 1 შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლაში შეფასების პროცესი აქტიურ რეჟიმში წარიმართა. ორი სავიზიტო დღის განმავლობაში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუირების პროცესი, როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან, საგნობრივი კათედრის წევრებთან, ასევე მოსწავლეებთან და მშობლებთან.

საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს სკოლამ გამოყო დირექტორის ბრძანებით N 2-87 (2026 წლის 28.05) დამტკიცებული ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იყო დოკუმენტაციის მატერიალურად მოწოდებაზე. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მიაწოდეს ფაქტობრივი ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 300	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	• ვიზიტის პროცესში სკოლამ ვერ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასვკნა. სკოლამ წარმოადგინა წერილი (MES 6 26 0000045653, 21.01.2026 წ.) სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთან შენობის ტექნიკური მდგომარეობის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების მომზადების მიზნით. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და წერილი სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთან შენობის ტექნიკური მდგრადობის მომზადების შესახებ. (MES 6 26 0000045653, 21/01/2026 წელი) სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდად მითითებულია 18.06.2026 - 15.06.2027 წელი. • სკოლამ ვიზიტის პროცესში ვერ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. წარმოადგენილი შესაბამისობის გეგმის თანახმად აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდად მითითებულია 18.06.2026 - 15.06.2027 წელი. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.**
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**სკოლას არ აქვს ლაბორატორია. რის გამოც, ვერ უზრუნველყოფს ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებას.** **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 18.06.2027 - 15.06.2028 წელს.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეასრულოს შესაბამისობის შესაბამისობის გეგმით გათვალსიწინებული აქტივობების განხორციელება.**

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	წარმოდგენილი დოკუმენტები არ არის კორელაციაში სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიასთან. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-61 (2025 წლის 23 დეკემბერი) დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, ხოლო სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელშიც ჩაშენებულია სკოლის მისია და ხედვის ამსახველი ნარატივი - დამტკიცებულია 2025 წლის სექტემბერში. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ წარმოდგენილი ოქმები შესაბამისობაში მოიყვანონ სკოლის დორექტორის ბრძანებით N 2-82 (2025 წლის 25 დეკემბერი) დამკიცებულ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიასთან.
ინდიკატორი 1.2.2.3.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა	**სკოლას მიეცა რჩევა,** წლიური ანგარიშის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით ინფორმაცია განათავსოს სკოლის ვებ-გვერდზე და ასევე გამოიყენოს ინფორმაციის გავრცელების სხვა ალტერნატიული მექანიზმები.

ინდიკატორი 1.2.2.4.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის	**სკოლას მიეცა რჩევა,** მონიტორინგის და შეფასების პროცესის თითოეულ ეტაპზე შექმნას სათანადო მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებს პროცესის მიმდინარეობას მაგ., თუ რომელიმე აქტივობა არ ან ვერ შესრულდა, რა რეაგირება
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N 3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	**სკოლას მიეცა** რჩევა, დოკუმენტურად გაწეროს პრევენციული და ინტერვნციული მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 4.2.3.1	სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას	შესახებ. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია ცალკე დოკუმენტის სახი დამტკიცდეს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელში მკაფიოდ გაიწერება სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები* საბაზო საფეხურის ბიოლოგიის მე-7 კლასის და ბუნებისმეტყველების მე-6 კლასის კურიკულუმებში შემოქმედებითი დავალებების ფარგლებში შესაქმნელი პროდუქტების მკაფიოდ ჩაწერა. **სახელმწიფო ენა**

		სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში ცნებებთან ერთად მიეთითოს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება კომპლექსური ბუნების დავალების ფარგლებში.
ინდიკატორი N 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** ყურადღება მიექცეს თითოეულ თემაში რაც შეიძლება მეტი სამიზნე ცნების გააქტიურებას. დავალებების კრიტერიუმების მოდიფიცირება შესაძლებელია იმგვარად, რომ მაქსიმალურად მეტი ცნება დამუშავდეს კონკრეტულ თემაში. ზოგიერთ თემაში შესაძლებელია ყველა ცნების დაფარვა. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მე-5 კლასის კურიკულუმში ცნებების და თემების ესგ-ს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.
2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** მეტად ჩართონ პრაქტიკაში იაფი და ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით ცდების და ექსპერიმენტების ჩატარება, ასეთი აქტივობების აღწერილობა მრავლადაა გრიფირებულ სახელმძღვანელოებში. ასევე გაამრავალფეროვნონ ელექტრონული რესურსების ჩამონათვალიც. **ესთეტიკური აღზრდა** სამივე საფეხურზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში, მათ შორის პროექტული სწავლება ორივე საგანში: ✓ საგნის კურიკულუმის შემუშავებისას გადამოწმდეს მითითებული ელექტრონული ბმულების/ლინკების ფუნქციურობა და ვალიდურობა; ✓ თითოეული რესურსი სასურველია დაკონკრეტდეს შინაარსობრივი მახასიათებლების მიხედვით; მაგალითად,

		ზოგადი მითითების ნაცვლად — „სამინისტროს რესურსი“ — მიეთითოს კონკრეტული დასახელება, ავტორი, პლატფორმა და პირდაპირი ბმული; ✓ საგანში სასურველია თემატური ბლოკის/თემის/საკითხის/პროექტის სწავლებისას მაქსიმალურად გამოიყენოს ლოკალური კულტურული მემკვიდრეობა, რაც სწავლის პროცესს უფრო შემეცნებით, ემოციურსა და დასამახსოვრებელს გახდის.
2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** კათედრამ მეტად იმუშაოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე, მოახდინოს კომპლექსური ტიპის დავალებების ადაპტირება სსსმ მოსწავლისთვის და შექმნას შესაბამისი შეფასების რუბრიკები. **ესთეტიკური აღზრდა** დაწყებით და საბაზო საფეხურზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში: ✓ ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად, კურიკულუმში სასურველია აისახოს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები. კერძოდ, მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, თუ როგორ ადაპტირდება დავალებები სხვადასხვა აკადემიური საჭიროებისა და დონის მქონე მოსწავლეებისთვის; ✓ კურიკულუმის ფარგლებში თემისა თუ საკითხის დამუშავებისას, შუალედური სასწავლო მიზნები სასურველია

		შეირჩეს და ჩამოყალიბდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით.
ინდიკატორი N 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** სასურველია **დაწყებით საფეხურზე მე და საზოგადოებისა და „ჩვენი საქართველოს** საგნების ფარგლებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას კონკრეტული შუალედური მიზნებისთვის/დავალებებისთვის, სადაც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თუ როგორ მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრელვადიანი მიზნები, ასევე აღინიშნება სამიზნე ცნების/ცნებების შინაარსიდან გამომდინარე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დავალების ფარგლებში და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რა რეკომენდაციები, რჩევები უნდა გაითვალისწინოს.
ინდიკატორი N 2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** სასურველია, **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ 2026–2027 სასწავლო წლის დაგეგმვისა და საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას გაითვალისწინოს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება. ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიზანშეწონილია კათედრამ ყოველწლიურად განაახლოს კურიკულუმი და მასში ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ცვლილებები. სასურველია, ყურადღება დაეთმოს სავალდებულო თემებში ძირითადი საკითხების უფრო მკაფიოდ გამოყოფასა და საჭიროების შემთხვევაში მათ გადაჯგუფებას; ასევე, ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებული დავალებების პირობების

		ადაპტირებას და შემოქმედებითი პროდუქტის განახლებას. მნიშვნელოვანია შეფასების კრიტერიუმების დახვეწა და შესაბამისი შეკითხვების გადამუშავებაც. ამასთან, სასურველია კურიკულუმში აისახოს ის აქტივობები და რესურსები, რომლებმაც პრაქტიკაში საუკეთესოდ შეუწყო ხელი მოსწავლეების მიერ სამიზნე ცოდნის ეფექტიანად ათვისებას. **ესთეტიკური აღზრდა** **სამივე საფეხურზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში:** ✓ სასურველია შესთავაზოთ მოსწავლეებს არჩევანი შემოქმედებითი დავალების პროდუქტის სახეობაში (მაგ: ესსე, პოსტერი, ციფრული პრეზენტაცია და სხვ.), რათა მათ საკუთარი შესაძლებლობების საუკეთესოდ რეალიზება შეძლონ; ✓ დავალების პირობა სასურველია მაქსიმალურად მიუახლოვდეს მოსწავლის რეალურ ცხოვრებას. მაგალითად, ეპოქის სწავლისას, რესურსად გამოიყენოს ადგილობრივი მუზეუმის ექსპონატი ან სოფლის/ქალაქის მატერიალური/ არამატერიალური კულტურის ძეგლები და სხვ.
ინდიკატორი N 2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, სკოლამ ეტაპობრივად გადახედოს შეფასების პრაქტიკას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რუბრიკების ხარისხისა და მათი შესაბამისობის გაუმჯობესებას საგნობრივი

		სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებთან. მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების უფრო მიზანმიმართული გამოყენება და ხარისხიანი უკუკავშირის უზრუნველყოფა, ასევე მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა შეფასების ინსტრუმენტების ეფექტიანად დანერგვის მიმართულებით, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს უფრო გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური შეფასების სისტემის ჩამოყალიბებას.
ინდიკატორი N 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**ესთეტიკური აღზრდა** სამივე საფეხურზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში: ✓ სასურველია პერიოდულად გადამოწმდეს კურიკულუმში მითითებული ყველა ელექტრონული ბმულის ფუნქციურობა; ✓ სასურველია შეიქმნას „ალტერნატიული რესურსების ბაზა“, რათა ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში გაკვეთილის/შუალედური დავალების აქტივობის დინამიკა არ დაირღვეს; ✓ ნებისმიერი დამატებითი რესურსი (ვიდეო, ფოტო, სტატია) სასურველია უკავშირდებოდეს სამიზნე ცნების კონკრეტულ ქვეცნებას. **სახელმწიფო ენა** სასურველია, მესამე-მეშვიდე და მეცხრე-მეთერთმეტე კლასების კურიკულუმებში, სახელმძღვანელოს გარდა, აისახოს დამატებითი

		რესურსებიც (მათ შორის, ციფრული), რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას.
ინდიკატორი 2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ყოველწლიურად ახორციელებდეს დამხმარე რესურსების შეფასებას/შერჩევას მოსწავლეთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებასა და მიზანმიმართულობას.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (MES 2 26 0000809633, 26/06/2026 წ.) და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. შესაბამისად,

ინდიკატორები, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლა ახორციელებს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. ინდიკატორის დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წარდგენილი (სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 9 სექტემბრის N10 სხდომა) და პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 9 სექტემბრის N 8 სხდომის ოქმით დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დეკლარირებულია დაწესებულების მისია; ,,მრავალწლიან ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, შექმნას უსაფრთხო, ინკლუზიური და პოზიტიურ სასწავლო გარემო. სკოლის მიზანია ეროვნული სასწავლო გეგმისა და ინტერდისციპლინური მიდგომების დანერგვით აღზარდოს ჰოლისტური უნარების მქონე, პასუხისმგებლიანი მოქალაქეები, რომლებიც პატივს სცემენ კანონს, ეროვნულ ფასეულობებსა და ადამიანის უფლებებს. პრიორიტეტად სკოლა ისახავს არაფორმალურ განათლებას, პროექტულ სწავლებას და დემოკრატიული ღირებულობების ამაღლება.“ სკოლამ მტკიცებულებად ასევე წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1 (24 დეკემბერი, 2025 წ.) რომლითაც დგინდება, რომ დირექტორის ბრძნებით (N 2-61 , 23 დეკემბერი, 2025 წ.) შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა სასკოლო საზოგადოებას წარუდგინა სკოლის მისიისა და ხედვის ამსახველი დოკუმენტი. წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. ამასთანავე დგინდება, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები არ არის კორელაციაში სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიასთან. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით N 2-61 (2025 წლის 23 დეკემბერი) დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, ხოლო სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელშიც ჩაშენებულია სკოლის მისია და ხედვის ამსახველი ნარატივი - დამტკიცებულია 2025 წლის სექტემბერში. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ წარმოდგენილი ოქმები შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის დორექტორის ბრძანებით N 2-82 (2025 წლის 25 დეკემბერი) დამკიცებულ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიასთან.

ინდიკატორი (1.1.1.1.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლას აქვს პიროვნული ზრდის, სასკოლო თემის წევრებისთვის შესაძლებლობების განვითარების საშუალებები. სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული წესები აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას, სკოლაში არის პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო, რაც უწყობს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის მიერ შექმნილი ხედვა. სკოლის მისიითა და ხედვით ხაზგასმულია, რომ სკოლაში არსებულ უსაფრთხო სასწავლო გარემოში განხორციელდება სოციალურად და პიროვნულად ჩამოყალიბებული მოქალაქეების აღზრდა, მოსწავლეების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. **ინდიკატორი (1.1.1.2.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლამ ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოადგინა დოკუმენტი; სამუშაო ჯგუფის ოქმები, რომელშიც დეკლარირებულია ჯგუფის მიერ შექმნილი ნარატივი - მისია/ხედვა და ღირებულებები. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევები, რომლითაც დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად იყო ჩართული მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. მტკიცებულებად წარმოდგენილი კრების ოქმები ადასტურებს, რომ აღნიშნულმა სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა რამდენიმე შეხვედრა მშობლებთან, მასწავლებლებთან და ნარატივის საბოლოო ვარიანტი წარუდგინა და გააცნო სასკოლო საზოგადოებას. რომლითაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით) ანალიზით დგინდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრულია მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ხელშემწყობი მკაფიო მექანიზმები, პროცედურები, რომლითაც ხელშეწყობილი იქნება სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ეფექტური ჩართულობა.
ინდიკატორი (1.1.1.3.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის მეთოდოლოგიურ ნაწილში აღწერილია პროცესი, როგორ იქმნება სამუშაო ჯგუფი,რომელიც ამზადებს კითხვარს სასკოლოსაზოგადოების ყველა წევრისთვის,აანალიზებს გამოკითხვის შედეგებს,რომელსაც

აზიარებს უკუკავშირის მიღების მიზნით,რის საფუძველზეც შემუშავდება სასკოლო სასწავლო გეგმა,რომლის ნაწილია მისია,ხედვა და ღირებულებები. სასკოლო სასწავლო გეგმა კანონმდებლობის შესაბამისად თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედსაბჭოს მიერ. დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტებით და სკოლის პრაქტიკით დასტურდებოდა, რომ სკოლის მისია შექმნილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ატვირთულია სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი (1.1.1.4.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის ოქმებით დასტურდება, რომ მისია, ხედვა, ღირებულებების ამსახველი პროექტი წარედგინა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის ადმინისტრაციას, მოსწავლეებს, მშობლებს. გაზიარებისათვის გამოყენებულ იქნა სოციალურ ქსელში არსებულ საკომუნიკაციო დახურული ჯგუფები და სამუშაო შეხვედრები. სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გამოეხატათ თავიანთი მოსაზრებები მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფმა, უკუკავშირის გათვალისწინებით შეიმუშავა დოკუმენტის საბოლოო სახით. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი N 4 (2025 წ. 29 დეკემბერი წ.) რომლითაც დასტურდება, რომ სამუშაო ჯგუფმა შემუშავებული მისია/ხედვისა და ღირებულებების ამსახველი ნარატივი გააცნო საბჭოს წევრებს. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის ოფიციალურ ვებ- გვერდზე.

ინდიკატორი (1.1.1.5.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა). სკოლის სახელწოდება განსაზღვრულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის N448 ბრძანებით. **ინდიკატორი (1.1.1.6.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის მისიის,ხედვის, ღირებულებების და სტრატატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სსიპ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის პედსაბჭოს ოქმი;
- სსიპ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- სსიპ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულა სკოლის დირექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის N 2-82 ბრძანებით. დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების

მექანიზმებს. მეთოდოლოგიის მიხედვით დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი სასკოლო საზოგადოების წევრებისგან (დირექტორი,მოსწავლე,მშობელი მასწავლებელი) რომლის მიზანია სასწავლო პროცესის რეფლექსია, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესის შედეგების გათვალისწინება. სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება, მისი გასაჯაროვება უკუკავშირის მიღების მიზნით და საბოლოო ვარიანტის დამტკიცება უფლებამოსილი ორგანოს მიერ (სამეურვეო საბჭოს და პედსაბჭოს მიერ) და მიღებული დოკუმენტის გასაჯაროვება.

ინდიკატორი (1.2.1.1.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

წარმოების პროცესში სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შვიდწლიანი (2026-2033 წლები) სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებული იყო დირექტორის ბრძანებით N 2-83. (25 დეკემბერი, 2025 წ.) წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული გეგმა იყო დამტკიცებული შესაბამისი წესით; შეთანხმებული იყო სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებული დირექტორის მიერ. სკოლას ვიზიტის პროცესში განემარტა, რომ აღნიშნულ დოკუმენტს სკოლა უთანხმებს პედაგოგიურ საბჭოს და დოკუმენტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი წესით დამტკიცდეს სტრატეგიული განვითარების სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული განვითარების გეგმაში განსაზღვრულია შემდეგი მიმართულებები: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; ორგანიზაციული განვითარება. წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული კონკრეტული ამოცანები, არ იკვეთება აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. არ არის განსაზღვრული შესაბამისი ვადები. აღნიშნულ მიმართულებებს მოჰყვებათ შესაბამისი ამოცანები. სტრატეგიული განვითარების გეგმის ანალიზისას დგინდება, რომ გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ - განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ. სტრატეგიული გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან.

ვიზიტის შემდგომ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა ინდიკატორის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 4, (24 ივნისი, 2026 წ.) რომლის თანახმადაც არის დამტკიცებული სკოლის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი (1.2.1.2.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს ოქმით N 1 (12 სექტემბერი, 2025 წ.) სამოქმედო გეგმა შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან 2025 წლის 12 სექტემბერს (პედ.საბჭოს ოქმი N 1) და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 12 სექტემბერს, (სამეურვეო საბჭოს ოქმი N 1). სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სასწავლო პროცესისა და სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება; სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა; მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა. წარმოდგენილი მტკიცებულებები შეიცავს გარკვეულ შეუსაბამობებს დოკუმენტების ქრონოლოგიაში. გამომდინარე იქედან, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია 2025 წლის 12 სექტემბერს, ხოლო სტრატეგიული გეგმა 2026 წლის 25 დეკემბერს, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა არ ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას.

ვიზიტის შემდგომ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა ინდიკატორის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 4, (24 ივნისი, 2026 წელი) რომლის თანახმადაც არის დამტკიცებული სკოლის სტრატეგიული სამოქმედო გეგმა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი (1.2.1.3.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ვიზიტის პროცესში წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში, რომელიც დამტკიცებული იყო 2025 წლის 25 დეკემბერს დაგეგმილი აქტივობების შესრულების ვადად მითითებული იყო 2024 წლის პირველი სემესტრი მაშინ, როდესაც დოკუმენტი შეიქმნა და დამტკიცდა 2025 წელს. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მითითებული ვადები იყოს რეალური და რელევანტური სტრატეგიულ გეგმასთან მიმართებაში. წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში თითოეული აქტივობის შესაბამისად მოცემულია შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია, თუმცა არ არის განსაზღვრული სტრატეგიული ამოცანები.

წარმოების დასრულების შემდგომ სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს მიერ ოქმი N4-ით დამტკიცებული სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის 2026-2033 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და კორექტირებული და რეალისტური ვადებით გაწერილი ახალი ერთწლიანი 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმა.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი (1.2.1.4.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სსიპ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- სსიპ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატ. დაგეგმარების მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (დირექტორის ბრძანება N 2-82, 25 დეკემბერი, 2025 წელი) მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ, მე-10 მუხლით განსაზღვრულია სამოქმედო გეგმების მონიტორინგი, მონიტორინგის ვადები და განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე (სამუშაო ჯგუფი იქმნება სკოლის დირექტორის ბრძანებით). სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. .სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება სკოლის დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორი (1.2.2.1.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, განხორციელებული არ არის, თუმცა

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ანალიზით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მზაობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას. **ინდიკატორი (1.2.2.2.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

დირექციის განმარტებით, სკოლის მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ყველა აქტივობისთვის ცნობილი და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდება სამუშაო შეხვედრებზე. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, **სკოლას მიეცა რჩევა,** წლიური ანგარიშის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით ინფორმაცია განათავსოს სკოლის ვებ-გვერდზე და ასევე გამოიყენოს ინფორმაციის გავრცელების სხვა ალტერნატიული მექანიზმები. ვინაიდან წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა სასკოლო საზოგადოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, ამ დროს ხდება დეკლარირებული მიზნების მიღწევის შეფასება, გამოწვევების იდენტიფიცირება და პასუხისმგებლობის გაზიარება ამ გამოწვევებთან გამკლავებაში. **ინდიკატორი (1.2.2.3.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის სტრატეგიული განვითარების ხედვა დაგეგმვის ეტაპიდან იწყება, დაგეგმვის ეტაპზევე ხდება გეგმის შესრულების შეფასების კრიტერიუმებისა და ორიენტირების გამოკვეთა. სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **სკოლას მიეცა რჩევა,** მონიტორინგის და შეფასების პროცესის თითოეულ ეტაპზე შექმნას სათანადო მტკიცებულებები, რომელიც დაადასტურებს პროცესის მიმდინარეობას მაგ., თუ რომელიმე აქტივობა არ ან ვერ შესრულდა, რა რეაგირება მოჰყვა ამას: გეგმის კორექტირება, ჩანაწერების დაზუსტება, ვადების გადაწევა, აქტივობის ჩანაცვლება თუ სხვა. სტრატეგიული განვითარების

და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებული უნდა იქნას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი (1.2.2.4.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

- სსიპ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის ხედვის, ღირებულებების და სტრატ. დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სსიპ. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის ანგარიში ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ.
- აქ ოქმები გვჭირდება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურის შემადგენლობის და პირთა ფუნქცია-მოვალეობების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც აზუსტებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობებს. სკოლის საშტატო განრიგით დასაქმებული პირები არიან: დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ბუღალტერი; საქმისმწარმოებელი, მატერიაულ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი. საგნის მასწავლებლები; არასაშტატო პოზიციაზე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები არიან: სკოლის ექიმი, დარაჯი, დამლაგებელი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. **ინდიკატორი (3.1.1.1.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

წარმოდგენილი მტკიცებულებებით (,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“, ,,შინაგანაწესი“, ხელშეკრულებები) დასტურდება, რომ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით, არ არის გადაფარული სხვადასხვა დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები, დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი (3.1.1.2.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები
- ბიბლიოოთეკის დებულება
- საქმისმწარმოებლის დებულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- შინაგანაწესი
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სკოლის მიერ წარმოდგენილია ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი“ , (ბრძანება N 2-77, 2025 წლის 24 დეკემბერი) რომელიც არეგულირებს პერსონალის მართვის პროცედურებს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ამოცანებია: დაწესებულების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხელშეწყობა, დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა და რეალიზება, დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. სტრუქტურული ერთეულების მართვის ეფექტიანობა დაფუძნებულია ანგარიშგების პრინციპზე. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით, შინაგანაწესის მიხედვით.

   ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის დირექტორთან ინტერვიუთი დგინდება, რომ საწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით მიმართავს პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს. კერძოდ, მასწავლებლის სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში ხდება მისი იმავე საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება და საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირება. მასწავლებელთა შეცვალა-გაცვლას დაწესებულება აკონტროლებს ჩანაწერებით, სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ჟურნალში. ამავდროულად მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტით დასაქმებულის ვალდებულებაა შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ სხვა მასწავლებლის მიერ გაკვეთილის გაცდნისას ჩაატაროს შესაბამისი გაკვეთილი. სკოლის შინაგანაწესის თანახმად ახალი კადრის შერჩევისას სკოლა არასასურველი შედეგის პრევენციის მიზნით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად ითვალისწინებს მის პიროვნულ თვისებებს და ცნობებს ნასამართლობის შესახებ (მხოლოდ მასწავლებლებზე) და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს პერსონალის წახალისების და გადაცდომის და დისციპლინურ პასუხისმგებლობის ზომებს. **სკოლას მიეცა რჩევა**, დოკუმენტურად გაწეროს პრევენციული და ინტერვნციული მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული ,,პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება“ (N2-66, 23 დეკმებერი 2025 წელი) რაც სკოლას საშუალებას აძლევს ობიექტურად და გამჭვირვალობის წესის თანახმად მოხდეს კადრის შერჩევა. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფს ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებას ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით, სკოლა თანამშრომელთა შერჩევისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით. დასაქმებულთა პირადი საქმეების გადამოწმებით დგინდება, ყველა თანამშრომლის პირად საქმეში არის ცნობა ნასამართლობის შესახებ,

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას აქვს დირექტორის შემუშავებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ დებულება. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი საქმისმწარმოებლის, ბუღალტრის, ბიბლიოთეკარის, ექიმის, დამლაგებლის, დარაჯის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რის შესაბამისადაც სკოლა ახალი კადრების შერჩევისას არის ობიექტური და გამჭვირვალე. სკოლის ექიმის (ექიმ-პედიატრი) კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. მასთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. სკოლის პედაგოგებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებთან. პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას დადგინდა, რომ **2020** წლის შემდეგ დასაქმებულ პირებს ჰქონდათ წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი **33** 1 - ით პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის N463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ“.

ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.**

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით და წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ სკოლის მართვა ხორციელდება მონაწილეობით, რაც გულისხმობს პერსონალის მაღალ ჩართულობას და თანამშრომლობას დაგეგმვისა და

გადაწყვეტილებების პროცესში. სკოლის პედაგოგების და მშობელთა წარმომადგენლები კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეული არიან სამეურვეო საბჭოში, სკოლის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რაც უზრუნველყოფს მონაწილეობით მმართველობის განხორციელებას. სკოლის სტრუქტურული ერთეულების წევრები მუშაობენ გუნდურად, თანამშრომლობითი პრინციპით. ერთად განიხილავენ მიღწევებს და საჭიროებებს. საჭიროების განსაზღვრა ხდება არსებული რეალობისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. უკუკავშირი აგებულია აზრთა გაზიარებასა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესებაზე. მხარდაჭერაზე. სკოლაში მომუშავე პერსონალი საკუთარ თავს აღიქვამს ამ ორგანიზაციის ნაწილად, ამიტომ გადაწყვეტილებები მონაწილეობით ფორმას ატარებს. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეების მიერ მიღწეულ წარმატებებს. მის აღიარებას, გასაჯაროებასა და წახალისებას. ხშირად აღნიშნული საჯაროვდება სკოლის სოციალურ ფეისბუქ გვერდზე. წარმატებული მუშაობის შემთხვევაში სასწავლო წლის დასასრულს ხდება თანამშრომლებზე (დამსახურების შესაბამისად) მადლობის გამოცხადება, სიგელის გადაცემა, **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- მასწავლებელთა პირადი საქმეები და სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატები
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შეხვედრის ანგარიშები;
- მასწავლებლთა სასწავლო ჯგუფების შეხვდრისოქმები;
- პერსონალის პირადი საქმები;
- მართვის სინფორმაციო სისტემის მონაცმები;

- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმის დებულება, რომლითაც დადგენილია პერსონალის შეფასების დადგენის მექანიზმები. სკოლის დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს გეგმიური საგაკვეთილო დაკვირვება, ურთიერთდასწრება. სკოლის დირექტორი ინიტერვიუს დროს განმარტავს, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით შექმნილი არის შეფასების ჯგუფები, რომელიც აფასებს მასწავლებელთა პროფესიულ საქმიანობას. სკოლაში მესამე თაობის ე.ს.გ.-ის დანერგვის პროცესში გრძელდება გამოცდილების გაზიარებისა და თანამშრომლობის მიზნით გათვალისწინებული აქტივობები. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის მიხედვითაც

ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. ავლენს სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებებს და დასაქმებულთა პროფესიული განვითარების კუთხით დამატებით საჭიროებებს. **ინდიკატორი (3.2.1.1.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის ადმინისტრაცია განმარტავს, რომ დაწესებულებაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, (ბრძანება N 2-71, 23 დეკემბერი, 2025 წ.) რომლის მიზანია პედაგოგთა შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტის, რომელიც არეგულირებს პროფესიული განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლის თანახმადაც სკოლის პროფესიული განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ საკვანძო პრინციპებს: (ა) პროფესიული განვითარება, როგორიც ყოველდღიური, მიმდინარე პროცესი. სკოლის მიერ დადგენილი მექანიზმის თანახმად, შეფასება და უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარდაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ ავტონომიურობის და დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება, შესაძლებლობა, რომ დაგეგმონ, განახორციელონ ინოვაციური ხედვები. **ინდიკატორი (3.2.1.2) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებს, პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული

განვითარების სხვადასხვა მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. **ინდიკატორი (3.2.1.3.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია-ადაპტაციისათვის პროცდურები: გაცნობითი შეხვედრა სკოლის დირექციასთან და სკოლის შესახებ ძირითადი ინფორმაციის მიღება შიდა ნორმებისა და რეგულაციების შესახებ, ახალი თანამშრომლის წარდგენა კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე/ მასწავლებელთა თათბირზე, პედაგოგის დამატება სკოლის თანამშრომელთა დახურულ სოციალურ ჯგუფებში. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დასტურდება სკოლის მზაობა, უზრუნველყოს ახალი თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ეფექტური მართვა.

ინდიკატორი (3.2.1.4.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“ .

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის პედაგოგებთან, პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის მიერ დადგენილი მექანიზმების თანახმად თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. აღნიშნული საკითხები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომლის თანახმადაც მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: (ა) მადლობის გამოცხადება; (გ) სიგელით დაჯილდოება; (დ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; (ე) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

ინდიკატორი (3.2.1.5.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის შინაგანაწესი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

პერსონალთა ხელშეკრულებები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი, (დირექტორის 2025 წლის 23 დეკემბრის N 2-71 ბრძანება), რომელიც აღწერს და არეგულირებს სკოლის მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს. აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს კანონდმებლობით დადგენილ წესს და ორიენტირებულია შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემურ შეფასებასა და მუდმივ განვითარებაზე. ხარისხზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მოადგილე. ხარისხის უზრუნველყოფის წესით განსაზღვრულია პროცესული მიდგომა: რისკების შეფასება, სამოქმედო გეგმის შედგენა, შემოწმების განხორციელება, დასკვნის შედგენა და უკუკავშირი, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. დოკუმენტი ასევე არეგულირებს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი.

ინდიკატორი (3.3.1.1.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით დასტურდება, რომ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესები, კერძოდ მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით და სხვა შიდა სასკოლო დოკუმენტებით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია: 1.მმართველობითი პროცესები: სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; 2. ძირითადი პროცესები: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; 3. დამხმარე პროცესები: განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ფინანსური მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსების მართვა, უსაფრთხოება, საზოგადოებასთან კომუნიკაცია, საქმისწარმოება.

ინდიკატორი (3.3.1.2.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლის მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესი ითვალისწინებს საჩივრის განხილვის წესს. სკოლამ მტკიცებულებად ასევე წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი, რომელიც მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების

განხილვის ინსტრუქციას. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება.

ინდიკატორი (3.3.1.3.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს შინაგანაწესში, აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სკოლის პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დარღვევაზე სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებს, აღწერილია დისციპლინური კომიტეტის საქმიანობა, უფლებამოსილების ფარგლები. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი (3.3.1.4.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- განცხადების/საჩივრის განხილვის დოკუმენტი
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი
- სკოლის ვებ-გვერდი
- საინფორმაციო დაფა

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის დირექციის, მასწავლებლების განმარტებით მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის ელექტრონულ ფოსტას, ვებ-გვერდს, სოციალურ ქსელს.

ვტორიზაციის წარმოების პროცესში ხეთის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებდა ხობის N 1 საჯარო სკოლაში, სადაც საზოგადოების ინფორმირების მიზნით იყენებს სტენდს და შესაბამის სივრცეებს. დირექტორის ინტერვიუთი და ხეთის საჯარო სკოლის შენობის დათვალიერებით დგინდება, რომ მას შემდგომ, რაც სასწავლო პროცესის განხორციელება შესაძლებელი იქნება ხეთის ბალანსზე არსებულ შენობა-ნაგებობაში, სკოლა გეგმავს შენობის სივრცეების გამოყენებას საზოგადოების ინფორმირების მიზნით.

საზოგადოების ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების მიზნით სკოლა ასევე იყენებს საკლასო ოთახებს პირისპირ შეხვედრების დასაორგანიზებლად. სკოლის მიერ სოციალური გვერდის საშუალებით ვრცელდება მართვის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია და აღნიშნული საშუალებით ხდება უკუკავშირის მიღება. სკოლას აქვს ვებ გვერდი (skolebi.emis.ge - ერთიანი პორტალი), როემლიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია ვებ.გვერდის ფუნქციურ გამართულობაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის დირექტორის განმარტებით სკოლაში შემოსული მოქალაქეების ინფორმირებაზე, მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს.

ინდიკატორი (3.3.2.1.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლაში არსებობს მართვის კოლეგიალური ორგანოები როგორიცაა: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს აქვს სრული თავისუფლება, განახორციელოს შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობა. სკოლის კოლეგიალური ორგანოები დაკომპლექტებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (მაგალითად, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა

გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით და მოსწავლეებთან განხორციელებული ინტერვიუებით.

ინდიკატორი (3.3.2.2.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- დისციპლინური კომიტეტის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

ავტორიზაციის წარმოების პროცესში სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლა მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო სასწავლო პროცესს ახორციელებდა ალტერნატიულ ფართში. კერძოდ, სსიპ- ხობის N 1 საჯარო სკოლაში.

ხეთის საჯარო სკოლის დათვალიერების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლის ტერიტორია სრულად არის შემოსაზღვრული და შესაბამისად, დაცული გარეშე პირთაგან. სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეო-სათვალთვალო სისტემა. (39 ერთეული ვიდეო/სამეთვალყურეო კამერა) სკოლის გარე პერიმეტრი სრულად არის მოწესრუგებული, რაც უზრუნველყოფს სკოლის ტეროტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს სკოლაში ფიზიკურ უსაფრთხოებას მიკუთვნებულ საკითხებს, ხოლო სკოლა 06/ნ ბრძანების შესაბამისად პრევენციისათვის პერიოდულად ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას მოსწავლეებისთვის და მშობლებისათვის.

გამომდინარე იქედან, რომ ვიზიტის პროცესში ხეთის ბალანსზე არსებულ შენობა-ნაგებობაში სარემონტო სამუშაოები დასკვნით ფაზაში იყო, რის გამოც სასწავლო პროცესი ხორციელდებოდა ალტერნატიულ ფართში, **სკოლამ ვერ წარმოადგინა საქართველოს**

შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) შეთანხმებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა MIA 1 26 01006588 და სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკველევის აქტი N 99, რომლის შესაბამისად დგინდება, რომ სკოლის შენობის (ს/ნ 244555897) მიზნობრივი სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) დროს გამოვლენილია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა, რომლის აღმოფხვრისათვის გაიცა შესაბამისი ვადა. სკოლის დირექციის განმარტებით, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრა მოხდება მიწერილობით დადგენილ ვადებში. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით. **ვიზიტის პროცესში სკოლამ ვერ წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასვკნა. სკოლამ წარმოადგინა წერილი (MES 6 26 0000045653, 21.01.2026 წ.) სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთან შენობის ტექნიკური მდგომარეობის და ექსპლუატაციის უსაფრთხოების მომზადების მიზნით.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და წერილი სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსთან შენობის ტექნიკური მდგრადობის მომზადების შესახებ. (MES 6 26 0000045653, 21/01/2026 წელი)

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა პერიოდად მითითებულია 18.06.2026 - 15.06.2027 წელი.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შესაბამის ტერიტორიულ ერთეულთან) საგანგებო სიტუაციების გეგმის შეთანხმება და შესაბამისი წესით დამტკიცება უნდა მოხდეს 18.06.2026 - 15.06.2027 წელს.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწიებული აქტივობების განხორციელება მითითებული ვადების დაცვით.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი (3.4.1.1.) შეფასდა, როგორც „ მეტწილად შეესაბამება“

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანება N 2-72, 23 დეკემბერი, 2025 წელი - სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის შესახებ. ვიზიტის დროს სკოლის ექიმის კაბინეტი მოწყობილია ხობის N 1 საჯარო სკოილს შენობაში. კანონმდებლობით დადგენილი წესით არის ნაწარმოები სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა, ასევე არის ნაწარმოები სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი.

ხეთის საჯარო სკოლის დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით.

ინდიკატორი (3.4.1.2.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური და მორიგე მასწავლებლები, რომლებიც წარმოების პროცესში საკუთარ საქმიანობას ანხორციელებდნენ ალტერნატიულ ფართში. (ხობის N 1 საჯარო სკოლა)

ხეთის საჯარო სკოლის რეაბილიტირებული შენობა-ნაგებობა სრულად არის აღჭურვილი კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით. სკოლის გარე პერიმეტრი მოწესრიგებულია, სკოლის ტერიტორია არის სრულად შემოღობილი.

ინდიკატორი (3.4.1.3.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად, სკოლაში განსაზღვრულია რეფერირების განხორციელების პროცედურები- დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია (ბრძანება N2-126, 30 მაისი 2023 წელი) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) შიდა ინსტრუქცია განსაზღვრულია რეფერირების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი. მოსწავლეებთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლის პრაქტიკაა სასკოლო პროექტების განხორციელება ჯანსაღ ცხოვრებაზე, ემპათიურ დამოკიდებულებებზე. სკოლაში პირადი ინფორმაციის დაცვასთან და კიბერ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა ინფორმირების მიზნით მასწავლებელთა თანამშრომლობით განხორციელდა სხვადასხვა აქტივობა. მაგ, პროექტი, რომლის ფარგლებშიც დამზადდება საინფორმაციო ბროშურები/ პოსტერები. ინფორმაციის გავრცელების მიზნით მოეწყო საპრეზენტაციო და საინფორმაციო შეხვედრები სასკოლო თემთან. სკოლის დირექციის, მასწავლებლების განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფს, სასწავლო გარემოს ემოციურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. სკოლის მიერ გაწერილია შიდა ინსტრუქცია ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში რეფერირების პროცედურების შესახებ.

ინდიკატორი (3.4.1.4.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

როგორც აღინიშნა, წარმოების პროცესში სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობაში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები დასკვნით ფაზაში იყო. შესაბაისად, სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ალტერნატიულ ფართში. ხეთის საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის, პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. (მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილები) სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლაში სველი წერტილები განთავსებულია ორივე სართულზე.

ინდიკატორი (3.4.1.5.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, (დირექტორის ბრძანება N 2-74) რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ, სკოლის მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს. სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ჩაატაროს სისტემატური შეხვედრები (დასწრებით/ონლაინ) სკოლაში დასაქმებულებთან/მოსწავლეებთან და გააცნოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესები. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას. დირექტორის მიერ ბრძანებით არის გამოყოფილი საქმისმწარმოებელი, რომელიც მესამე პირის წვდომისგან იცავს კანონმდებლობით დაცულ პერსონალურ ინფორმაციას. იგი უფლებამოსილია, გააფრთხილოს ყველა

დაინტერესებული პირი იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდება პერსონალური მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავებასთან/გამოყენებასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით. საქმისმწარმოებელი უფლებამოსილია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს, შესაბამისი რეაგირების განხორციელებისათვის.

ინდიკატორი (3.4.1.6.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ სკოლაში მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (მიმდინარე დოკუმენტები, აქტიური პირადი საქმეები) ინახება საქმის მწარმოებელთან. დოკუმენტებზე და/ან მათში დაცულ ინფორმაციაზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ საქმისმწარმოებლისგან აღნიშნული დოკუმენტაციის მიღების და შესაბამისი აღრიცხვის გზით. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში, არქივდება და ინახება სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. დაარქივებულ დოკუმენტებზე წვდომა შესაძლებელია დირექტორის ნებართვით, შესაბამისი წერილობითი საფუძვლის არსებობისას. სკოლა იცავს მონაცემების კონფიდენციალურობას. მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამშრომლებს და იმ მოცულობით, რომელთაც მონაცემები სჭირდებათ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად. სკოლის მიერ გამოყენებულ ელექტრონულ სისტემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. სკოლის თანამშრომლები გაფრთხილებული არიან ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ. სკოლის მიერ

გაწერილი მექანიზმებით შესაძლებელია ინფორმაცია დაცული იქნას გარეშე პირების უკანონო წვდომისაგან. ყველგან იქნება დავწეროთ, ამ ეტაპზე დოკუმენტები ინახება ინახება გამოყოფილ ოთახში,

ინდიკატორი (3.4.1.7.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლის დირექციის განმარტებით მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე ხდება იმ საკითხების განხილვა, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი (3.4.1.8.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკა;
- ბრძანება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვის შესახებ;
- ჰიგიენური საშუალებების შესყიდვების ხელშეკრულებები;
- სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის შენობა-ნაგებობა და შესაბამისი მიწის ფართობი საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვით სკოლის მისამართია; ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხეთა. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია N 45.20.26.064. მიწის დაზუსტებული ფართობია; 6522.00 კვ.მ. სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია სამი შენობა-ნაგებობა. (სკოლის ძირითადი შენობა-ნაგებობა N 1 - 1055. 29 კვ.მ, დახურული სპორტული დარბაზი - N 2, 214.88 კვ.მ საქვაბე N 3 შენობა-ნაგებობა - 113.97 კვ.მ. და N 4 - წყლის მომარაგების სისტემა - N 4 – 30.15 კვ.მ. აღნიშნულ შენობა-ნაგებობაში ავტორიზაციის ვიზიტის დროს მომდინარეობდა კაპიტალური სარემონტო სამუშაოების დასკვნითი ეტაპი, რის გამოც **სკოლას ჰქონდა მიღებული შენობა-ნაგებობის მიღება-ჩაბარების აქტი.** სკოლის ტერიტორია შემოღობილია. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობა. სკოლის მატერიალური რესურსი, სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება. სკოლის შენობა ორსართულიანი. შენობაში განლაგებულია 16 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, საინფორმაციო ტექნოლოგიების,

სამედიცინო კაბინეტი, დირექციისა და ადმინისტრაციის კაბინეტები, ბიბლიოთეკა, დახურული და ღია სპორტული დარბაზები, სააქტი დარბაზი, სივრცე საკლუბო სამუშაოებისათვის, რესურს-ოთახი. სკოლის ეზოში არის კეთილმოწყობილი მინი-სტადიონი. მისი შემოსასვლელი და პირველი სართული ადაპტირებულია და გათვლილია შშმ მოსწავლეების საჭიროებებზე - სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი. სკოლის ინფრასტრუქტურა შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. სკოლას აქვს რესურსი, რომ ყველა საკლასო ოთახი აღჭურვოს ასაკის შესაბამისი სასკოლო ინვენტარით, მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, კარადითა და სასკოლო დაფით. სკოლას აქვს აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომელსაც გამოიყენებს სასწავლო პროცესში. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორიის ერთი ოთახი, რომელშიც განთავსებულია ლეპტოპი (12 ერთეული). ვიზიტის პროცესში სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებდა ალტერნატიულ ფართი, რის გამოც სკოლის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში სკოლის მოთხოვნის საფუძველზე (MES 0 24 0001126360 , 13.09.2024 წ.) დაპაუზებული იყო ინტერნეტით მომსახურება. აღნიშნული შენობა სრულად არის აღჭურვილი ინტერნეტ ქსელით. სკოლის დირექტორთან ინტერვიუთი დგინდება, რომ დაწესებულებას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება სათანადო წიგნადი ფონდისაგან და ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოებისგან. წარმოების პროცესში წიგნების ნაწილი იყო განთავსებული საცავში. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის მიხედვით. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ბიბლიოთეკით და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

ინდიკატორი (3.5.1.1.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

ხეთის საჯარო სკოლა, რომელშიც ვიზიტის პროცესში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, არის ორსართულიანი. პირველ სართულზე განთავსებულია 7 საკლასო ოთახი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის გათვალისწინებული ოთახი, სამედიცინო კაბინეტი, სააქტო დარბაზი, ადმინსტრაციის კაბინეტი, მანდატურის სამსახურის ოთახი, სამასწავლებლო. ერთი ადაპტირებული სველი წერტილი, ექვსი სველი წერტილი - ცალკე გოგნებისა და ვაჟებისათვის. პირველ სართულზე ასევე განთავსებულია სპორტული სივრცე. მეორე სართულზე განთავსებულია 10 საკლასო ოთახი, კომპიუტერული ტექოლოგიების ოთახი, ბიბლიოთეკა, რესურს-ოთახი, დარაჯის ოთახი და ეკო სივრცე ბავშვებისათვის. სველი წერტილები - ცალკე გოგონებისა და ვაჟებისათვის. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ასაკის შესაბამისი მერხებითა და მასწავლებლის მაგიდით, კარადებით და სასკოლო დაფით. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულად არის ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სარემონტრო სამუშაოების გამო სკოლის წიგნადი ფონდი იყო დასაწყოებებული, თუმცა დოკუმენტაციის შესწავლის შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლის ბალანსზე ირიცხება სათანადო წიგნადი ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება

სასკოლო საზოგადოებისთვის. სასკოლო გარემო ისეა მოწყობილი, რომ უზრუნველყოფილია მოსწავლეების სწავლისა და განვითარებისთვის კომფორტული, უსაფრთხო და აკადემიური სივრცე. სრულად არის ხელმისაწვდომი სკოლაში არსებული რესურსები: ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორიისთვის გათვალისწინებული სივრცე.

ინდიკატორი (3.5.1.2.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

ავტორიზაციის წარმოების პროცესში სკოლა ხობის N 1 საჯარო სკოლის სივრცით, სადაც ნაწილობრივ მატერიალური სახით წარმოდგენილი იყო ხეთის საჯარო სკოლის წიგნადი ფონდი, როგორც მხატვრულ, ასევე მეთოდური და მოსწავლის სახელმძღვანელოებით. წიგნადი ფონდის დიდი ნაწილი იყო დასაწყობებული სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. ხეთის საჯარო სკოლის დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სხვადასხვა სივრცეები, როგორც დაწყებითი, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის შესაბამისი ინვენტარით. სკოლას ბალანსზე აქვს აყვანილი წიგნადი ფონდი; დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკაში შემუშავებულია სარეგისტრაციო ჟურნალი, სადაც გატარებული სკოლის წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შექმნილია მყუდრო გარემო, რათა მოსწავლეებმა შეძლონ სასურველი წიგნის მოძიებაც და გაცნობაც. სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ სკოლა გეგმავს ბიბლიოთეკაში განათავსოს ქსელში ჩართული კომპიუტერი.

ინდიკატორი (3.5.1.3.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სსიპ-ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის საჯარო სკოლი მთელი ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი შშმ პირთათვის. სპორტული აქტივობებისათვის სკოლას აქვს შიდა სპორტულ დარბაზი და გარე სპორტული მოედანი. სასკოლო აქტივობებისა და ღონისძიებების ჩატარება შესაძლებელია, როგორც სკოლის შიდა სივრცეში, ასევე გარე სივრცეში. სკოლას აქვს სხვადასხვა საზიარო სივრცეები, რომელიც ადაპტრირებულია. სკოლის ბიბლიოთეკაში გამოყოფილია სამკითხველო სივრცე. აღნიშნული სივრცეები სრულად პასუხობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა საჭიროებებს. საკლასო ოთახები აღჭურვილია ერთადგილიანი ინდივიდუალური მერხებით, დაფებით, მთელი სკოლა დაფარულია ინტერნეტით. სკოლის შენობაში გათვალისწინებულია რესურს-ოთახი.

ინდიკატორი (3.5.1.4.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლა აღჭურვილია შესაბამისი რესურსით კერძოდ: ინდივიდუალური მერხებით, დაფებით, სასკოლო ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლას გახდეს ადგილობრივ თემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციო-კულტურული სივრცე. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული რესურსები, როგორც სახელმძღვანელოები, ასევე ელექტრონული რესურსები და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის, მათ შეუძლიათ ეს რესურსები სასწავლო მიზნით გამოიყენონ არასაგაკვეთილო დროსაც. ამისთვის სკოლაში შექმნილია სხვადასხვა სივრცეები, სადაც შესაძლებელია ინოვაციური და სასწავლო აქტივობების განხორციელება სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეებისათვის.

ინდიკატორი (3.5.1.5.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- სკოლის ინვენტარიზაციის შედეგები;
- სკოლის ბიბლიოთეკის დებულება,

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

დაწესებულების დოკუმენტაციის შესწავლისა და ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლა სრულად არის აღჭურვილი ტექნოლოგიურად. სკოლას აქვს საკმარისი ტექნიკური რესურსი. ხეთის საჯარო სკოლის ადაპტირებულ შენობაში ყველა საჭირო რესურსი არსებობს, რომ გამართულად იფუნქციონიროს კომპიუტერულმა ლაბორატორიამ. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლას აქვს ჩამოყალიბებული ციფრული ტრანსფორმაციის ხედვა, რაც მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროცესებთან. სკოლის ინცორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორი (3.6.1.1.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინსფრასტრუქტურა (კომპიუტერები, პრინტერი) ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. ხეთის საჯარო სკოლის დათვალიერების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ კომპიუტერული კლასი სრულად იქნება უზრუნველყოფილი ტექნიკითა და მუდმივი ინტერნეტით, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება, როგორც მოსწავლეების, ასევე პერსონალისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენების წესი, რომლითაც დაარეგულირებს ტექნიკით სარგებლობის პროცესს, რათა სასკოლო საზოგადოებამ მიზნობრივად გამოიყენოს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრსტრუქტურული გამართულობის უზრინველყოფის პროცესში ჩართულია სკოლის დირექცია და ისტ. მასწავლებელი. სკოლის შენობა სრულად არის აღჭუვილი ცენტრალური Wi-Fi სისტემით (თანამედროვე როუტერ ფაერვოლით), თუმცა წარმოების პროცესში სკოლის განცხადების საფუძველზე მიმდინარეო სარემონტოების გამო აღნიშნული მომსახურება დაპაუზებული იყო.

ინდიკატორი (3.6.1.2.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შესყიდვების დოკუმენტაცია.
- ლაბორატორიით სარგებლობის წესები
  - სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
  - ვიზუალური დათვალიერება
-

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით. შიდა დოკუმენტები ელექტრონულის გარდა ამობეჭდილი და შესაბამისი რიგით და ნომერაციით ინახება და აღირიცხება შესაბამის ჟურნალებში. (ბრძანებები ძირითად საქმიანობაზე, მოსწავლეთა მობილობაზე, დანიშვნა-გათავისუფლებაზე, დასჯა-წახალისებაზე. ასევე შრომითი ხელშეკრულებები, პედაგოგიური საბჭოსა და ისგ ჯგუფის ოქმები) . სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ბრძანებით დამოწმებული საქმისწარმოების წესი (დირექტორის 2-69, 23 დეკემბერი, 2025 წელი) აღნიშნული ბრძანების თანახმად სკოლაში განისაზღვრება საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი. წარმოდგენილი დოკუმენტი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. სკოლაში მოქმედებს ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული და შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. სკოლა იყენებს efloow და Eshool-ის ბაზებს. პირად საქმეებში შენახულია კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობები. სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატი (პედაგოგის შემთხვევაში). დარაჯისა და დამლაგებლების პირად საქმეებში მოცემულია აღრიცხვის ფურცელი, პირადობის მოწმობის ასლი, პირადი განაცხადი. მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული, მშობლის განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ასლები, ფოტო. ჯანმრთელობის ცნობები მოსწავლეთა ნაწილთან (საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან). სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდიკატორი (3.6.2.1.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით. სკოლა სარგებლობს rs.ge, spa.ge და signature.ge. სკოლა დოკუმენტებს ამუშავებს ელექტრონულად, საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის e-flow გამოყენებით. Eflow სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. დაწესებულება სრულყოფილად ასახავს ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები.

ინდიკატორი (3.6.2.2.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის ,,ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ N08/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. დადგინდა, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია სკოლის ბარათზე, რაც მოიცავს როგორც ადმინისტრაციის, ისე მოსწავლეთა მონაცემებს. ასევე სრულადაა წარმოდგენილი მასწავლებლების მონაცემები და სისტემაში ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eschool, Office 365, Gmail, ელექტრონული ჟურნალი. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის

საინფორმაციო სისტემაში. ვიზიტისას გადამოწმებული იქნა სკოლის პროფილი მართვის საინფორმაციო სისტმაში და ის სრულყოფილია. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლას მიეცა რჩევა, გამოჰყოს უფლებამოსილი პირი ბაზებთან სამუშაოდ.

ინდიკატორი ინდიკატორი (3.6.2.3.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა სხვადასხვა საშუალებებით აწვდის ინფორმაციას რესურსცენტრს, სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და სხვა ოფიციალურ უწყებებს, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის eflow.emis.ge საშუალებით. სკოლის დირექტორის განმარტებით, უკუკავშირი დროულია და ეფუძნება ინფორმაციის მიწოდებისთვის განსაზღვრულ ვადებს. სკოლის დირექციის, საქმისმწარმოებლის განმარტებით დროულად ხდება ანგარიშების, უკუკავშირისა და ინფორმაციის მიწოდება და თანამშრომლობა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან. თუმცა სკოლას აღნიშნული პროცესები არა აქვს აღწერილი/დარეგულირებული შიდა აქტებით, შესაბი.**ინდიკატორი (3.6.2.4.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების წესი
მართვის საინფორმაციო სისტემა;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

   დირექციის განმარტებით, სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით (facebook, teams). ასევე პირისპირ შეხვედრების, სატელეფონო კომუნიკაციითა და სასკოლო ღონისძიებების დროს. სასკოლო საქმიანობის შესახებ ინფორმირება ხდება კლასის დამრიგებლებისა და სამეურვეო საბჭოს საშუალებით. სკოლას მიეცა რჩევა, რომ ცალკე დოკუმენტის სახით შეიმუშავოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს ოფიციალური ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და ინფორმაციის გაცემის წესს. **ინდიკატორი (3.6.3.1.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა სოციალურ ქსელში განათავსებს ინფორმაციას დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, ჯილდოების, საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა პარტნიორობის, სხვადასხვა ორგანიზაციების წევრობის შესახებ და სხვა სახის ინფორმაციას. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია საგანმანათლებლოს საქმიანობის შესახებ არის სანდო და უტყუარი. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს ინფორმაციის გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში დადასტურებას. ექსპერტთა მოსაზრებით სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ინფორმაციის მართვადობა. **ინდიკატორი (3.6.3.2.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლით და ადმინისტრაციასთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ კომუნიკაციის სხვადასხვა არხის, მშობლებთან, ადგილობრივ თემთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან და მოსწავლეებთან, საშუალებით მიღებული ინფორმაცია ეხმარება სკოლას გამოავლინოს საჭიროებები, შეაფასოს არსებული ვითარება და დაგეგმოს შესაბამისი ცვლილებები. უკუკავშირის სისტემური გამოყენება ხელს უწყობს სკოლის საქმიანობის ხარისხის ამაღლებას, გამჭვირვალობის ზრდას და სასკოლო საზოგადოების წევრთა ჩართულობას პროცესებში.

ინდიკატორი (3.6.3.3.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებ-გვერდი, რომელზეც ატვირთულია შესაბამისი მასალები. სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. ვებ-გვერდი არის საგანმანათლებლო დანიშნულების, კერძოდ სპეციალურად რეგისტრირებულია საგანმანათლებლო დომენით.

ინდიკატორი (3.6.3.4.) შეფასდა , როგორც „შეესაბამება“.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია, სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა,სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორი (3.6.3.5.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი
- სოციალური ქსელი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება), სკოლის მიერ წარმოდგენილია 2025-26 წლის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ინდიკატორი (3.7.1.1.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. შესყიდვების გეგმა შედგენილია არსებული კანონმდებლობის საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით შედის ცვლილებები. სკოლის მიერ ბიუჯეტის შედგენა და დაგეგმვა, ხარჯების მონიტორინგი; ფინანსური კონტროლი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, სკოლის ბიუჯეტს დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. სამეურვეო საბჭოს იბარებს დირექტორის ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი (3.7.1.2.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- სამოქმედო გეგმა;
- სამეურვო საბჭოს ოქმები;
- ფინანსური ანგარიშები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 28 მაისის 2-91 ბრძანებით. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების დაცვის გარანტიებს. შინაგანაწესში მოცემულია საკითხები მოსწავლეთა უფლება-მოვალეობების, უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. სკოლას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი მკაფიო ხელშეკრულება. შინაგანაწესი ასევე არეგულირებს მოსწავლის უფლება-მოვალეობის და ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონმდებლობის დაცვით გასატარებელ დისციპლინურ ღონისძიებებს, რომელიც ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის დირექციის წარმომადგენლები და კლასის დამრიგებლები ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებების და წესების გაცნობა ყველა მოსწავლისთვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებული პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლას აქვს სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა დამტკიცებული დირექტორის 2025წლის 2-64 (23 დეკემბერი, 2025 წ.) ბრძანებით. სკოლას აქვს პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისა და დაცვის მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. **ინდიკატორი (4.1.1.1.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დასაცავად შემუშავებულია შემდეგი სასკოლო რეგულაციები: დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს შინაგანაწესს და აღნიშნულს ასახავენ სადამრიგებლო გეგმებში. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრის დროს განიხილება ამ წესების ეფექტიანობა. ვფიქრობთ მოსწავლეთა მონაწილეობით შემუშავებული სასკოლო რეგულაციები უფრო მეტად გაზრდის მათ პასუხისმგებლობას და გაუჩენს გუნდურობის გრძნობას. გარდა შიდა რეგულაციებისა სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს ბავშვის, როგორც საგანმანათლებლო სისტემის ცენტრში მყოფი პირის და მის წინაშე დისციპლინიური დევნის შემთხვევაში გასათვალისწინებელი ქმედებები. ის რომ მოსწავლის მიმართ წარმოებული დისციპლინური დევნა უნდა იყოს ჯეროვანი, სამართლიანი და უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის კანონიერ ინტერესებს. სკოლამ წარმოადგინა სადამრიგებლო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ფარგლებში დამრიგებლები მოსწავლეებს აცნობენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს.

ინდიკატორი (4.1.1.2.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. მასში გაწერილია, როგორც მოსწავლის, ისე მშობლის და სკოლის უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების საგანი, *სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და* დავის გადაწყვეტა, შინაგანაწესის გაცნობა, დამატებითი პირობები, მხარეთა ხელმოწერები. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი აქვს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ინახება სკოლაში. სკოლას ამ ეტაპზე მშობლებთან აქვთ გაფორმებული: 1) ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის, რომელშიც გაწერილა მხარეთა უფლებები და მოვალეობები სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. ხელშეკრულების პირობების, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების შემუშავება მოხდა მშობელთა ჩართულობით, მასში გათვალისწინებულია სკოლის მიზნები, ღირებულებები. 2) ხელშეკრულებები სახელმძღვანელოების დროებით სარგებლობაში გადაცემაზე 3) ასევე ფოტოსა და ვიდეოს სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებაზე.

ინდიკატორი (4.1.1.3.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
- სკოლის შინაგანაწესი.

- მოსწავლეთა ქცევის კოდექსი.
- დამრიგებლის დებულება.
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სახელმძღვანელოების ან ბუკების გადაცემასთან დაკავშირებულ ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და მოსწავლისთვის (ბრძანება N 2-70) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხები რეგულირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. მშობლებთან კომუნიკაციის მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენება: პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალურ ჯგუფებში კომუნიკაცია. მშობლებთან მათი შვილის აკადემიური მოსწრებისა და პიროვნული თვისებების განხილვა ხდება ინდივიდუალურად. დოკუმენტები ინახება მოსწავლის პირად საქმეში. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმის შესახებ დოკუმენტი, (დირექტორის ბრძანება N 2-70) აღნიშნული მექანიზმის გამოყენებით სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, კანონმდებლობის გაცნობას, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას, საფეხურის დაძლევას, სტატუსის შეჩერებასა თუ აღდგენას.

ინდიკატორი (4.1.2.1.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. ჩარიცხვისა და მობილობის წესები განსაზღვრულია და პროცედურა იწყება მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ შემოტანილი განცხადებით, რის საფუძველზეც გამოიცემა ბრძანება და დასტურდება eschool - ის ელექტრონულ ბაზაში.

ინდიკატორი (4.1.2.2.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“

.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

დამრიგებლებთან გასაუბრებითა და მშობელთა კრების ოქმებით დადგინდა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმასა და სკოლაში დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციას. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების და ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე, სასკოლო ექსკურსიებისა და სკოლაში კონკრეტულ სასწავლო წელს შექმნილი კლუბების შესახებ. მოსწავლეებისა და მშობლების არჩევანს მე-2 უცხოურ ენასთან დაკავშირებით სკოლის დირექცია ითვალისწინებს და ასახავს მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც ხელმისაწვდომია მშობლებისა და მოსწავლეებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, **4.1.2.3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს დამრიგებლები აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. ასევე, სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, დამრიგებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა და მშობლების ინფორმირება. აღნიშნული დასტურდება დამრიგებლებთან და სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით. შესაბამისად, **4.1.2.4. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/ აღდგენისა და შეჩერების წესი;
სკოლის ვებ გვერდითა და სოციალური ქსელი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

მოცემული ინდიკატორის დასადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები; მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა, პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისა და დაცვის მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტი. აღნიშნული

დოკუმენტების მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება. სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებები. სკოლას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი მკაფიო ხელშეკრულება. შინაგანაწესი ასევე არეგულირებს მოსწავლის უფლება-მოვალეობის და ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონმდებლობის დაცვით გასატარებელ დისციპლინურ ღონისძიებებს, რომელიც ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის დირექციის წარმომადგენლები და კლასის დამრიგებლები ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებების და წესების გაცნობ ყველა მოსწავლისთვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. ჩატარებული ინტერვიუებით დგინდება, რომ დამრიგებლები მშობლებს აცნობენ შემდეგ სამართლებრივ აქტებს: ა)„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი , ბ)„მოსწავლის ქცევის კოდექსი“(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს N79/ნ ბრძანება. გ) სკოლის შინაგანაწესი. მასწავლებელთა მორიგეობა, კლასის დამრიგებლის უფლება-მოვალეობები, უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. ბავშვის უფლებაა მიიღოს ხარისხიანი განათლება და არ შეეზღუდოს თვითგამოხატვის უფლება. ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას ემსახურება მთელი სასკოლო საზოგადოება, თვითგამოხატვის უზრუნველყოფა ხდება სასკოლო ცხოვრების ყველა დონეზე მოსწავლეთა ჩართულობით. მოსწავლის უფლებები დაცულია, მოსწავლის მშობელთან იდება „სკოლასა და მშობელს შორის ხელშეკრერულება“, ასევე მოსწავლის ფოტო სურათის გასაჯაროების დროსაც მხოლოდ მშობლის წერილობითი და სიტყვიერი თანხმობით ხდება ფოტო სურათების საჯარო სივრცეში განთავსება. სასწავლო წლის დასაწყისში ყოველწლიურად ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა, რომელსაც თავისი წარმომადგენელი ჰყავს სკოლის უმაღლეს კოლეგიალურ ორგანოში - სამეურვეო საბჭოში. თვითმმართველობის ინიციატივით მოსწავლეთა სურვილებისა და საჭიროებების გათვალისწინებით იქმნება კლუბები, იგეგმება საქველმოქმედო, შემეცნებითი, გარემოს დაცვითი, შემოქმედებითი აქტივობები, რეგულარულად ხდება შეხვედრები სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა ჯგუფებთან და იქ გამოთქმული წინადადებები, ინიციატივები თუ მოთხოვნები წარედგინება დირექციას. საგნის მასწავლებლები და კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე მათივე მონაწილეობით გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს, აქტივობებს, ღონისძიებებს.

ინდიკატორი (4.2.1.1.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლის მტკიცებულებად წარმოადგინა მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი (დირექტორის ბრძანება N 2-68, 23 დეკემბერი, 2025 წ. .) სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში გადმოსულ ყველა ახალ მოსწავლეს , პირველ კლასელებს სკოლა უწევს შესაბამის დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი. რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობლებს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების, თავისებურების შესახებ, აცნობს საგნის მასწავლებლებს და მოსწავლეს კლასის წინაშე წარადგენს საუკეთესო მხრით. სკოლის მიერ დანერგილი სამუშაო პრაქტიკის ანალიზით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას.

ინდიკატორი (4.2.1.2.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით დგინდება, რომ მასწავლებლებისა და კლასის ხელმძღვანელების საშუალებით მოსწავლეებს აქვთ ღია კარის დღეები. სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოჩენის დროს მასწავლებელს კათედრაზე შეაქვს საკითხი სასწავლო მეთოდების გასაუმჯობესებლად. გამოიყენება კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი. მასწავლებელს ეძლევა რეკომენდაციები. დამრიგებელი ინდივიდუალურად აწვდის ინფორმაციას მშობელს. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. ინტერვიუს დროს სკოლის პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე. ამ მიზნით მოსწავლეებთან ხშირად მიმართავენ ინდივიდუალურ მუშაობას გაკვეთილების დასრულების შემდეგ. აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესების მოტივაციის ასამაღლებლად სკოლა ახორციელებს საკლასო და სასკოლო პროექტებს, კონკურსებს, სპორტულ შეჯიბრებებს, სადაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული. **ინდიკატორი (4.2.1.3.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

დირექციასთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეთა ადმინისტრაციული მხარდაჭერას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, კერძოდ - მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლის მიერ მიეწოდება ინფორმაცია დადგენილი რეგულაციების შესახებ, როგორიცაა მოსწავლის მობილობის უფლება, მოსწავლის გაცდენებთან დაკავშირებული საკითხები, ექსტერნის გამოცდების ჩატარების წესი და პირობები და სხვ. დამრიგებლების პორტფოლიოების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწვლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. **ინდიკატორი (4.2.1.4.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა მოსწავლეებს ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის მიღმა, არაფორმალური განათლების მიღების საშუალებასაც აძლევს. ეს ძირითადად დამატებითი, არაფორმალური, ანუ სასწავლო პროგრამის მიღმა განხორციელებული აქტივობების დაგეგმვის ან ინიციატივათა მხარდაჭერის გზით ხორციელდება. აღსანიშნავია მოსწავლეთა ჩართულობით სკოლაში განხორციელდა . მე-11 კლასი - გაეროს განვითარების ფონდი - ჭკვიანი ქალაქები, განახლებად ენერგიებთან დაკავშირებით. შეიმუშავეს იდეები დირექტორთან ერთად, ჭკიანი ქალაქების ურბანული გადაწყვეტა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შეიძინეს და სკოლაში დაამონტაჟეს ველო ტრენაჟორი, რომელიც განახლებად ენერგიას გამოიმუშავებს, მოსწავლეებმა სკოლაში მოაწყვეს ოთახი - მწვანე კედელი, შეიძინეს მცენარეები. ორგანიზაცია - განათლებისა და განვითარების ცენტრის - ,,თოლისკურის“ საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობით მე-10 კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს პროექტი, რომლის ფარგლებშიც მეწარმეობის ნაწილში მოსწავლეებს დაუფინანსდათ სხვადასხვა აქტივობები; შეიძინეს საკერავი, ,,დასაპრინტი“ დანადგარები. დონორის დაკვეთით მოსწავლეებმა გაეროს განვითარების ფონდის დაკვეთით დაამზადეს ჩანთები - სოფელში შეაგროვეს ძველი ტანისამოსის ნარჩენები და საკუთარი ძალებითა და დიზაინით შეკერეს ჩანთები. 2026 წლის 1 ივნისს სკოლა გეგმავდა მათი დიზაინით დამზადებული და შეკერილი ჩანთების გამოფენა გაყიდვას. პროექტის ფარგლებში მე-10 კლასის აღსაზრდელებმა შეიძინეს დასაპრინტი აპარატი. მოსწავლეებთან განხორციელებული ინტერვიუთი დგინდება, რომ ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ დაგეგმილია სკოლის ტერიტორიაზე ე.წ. ჭკვიანი სკამების დამონტაჟება.

ინდიკატორი (4.2.1.5.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან იღებს უკუკავშირს მიწოდებული სერვისების ხარისხის შესახებ და აფასებს მათ. მიღებული შეფასების საფუძველზე სკოლა გეგმავს მოსწავლეთა მომსახურების მექანიზმების გაუმჯობესებას. **ინდიკატორი (4.2.1.6.) შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ადაპტაციის წესი.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ტრანსპორტით მომსახურების ტაბელი.
- განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფორიენტაციას, რაც მოიცავს საგანმანათლებლო გარემოში მოსწავლეთა მხარდაჭერას საკუთარი ფიზიკური, კოგნიტიური და პიროვნული მახასიათებლების აღმოჩენაში და ამ მახასიათებლების შესაბამისი პროფესიების იდენტიფიცირებაში. ამ მიზნით სკოლა სხვადასხვა უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებელს აძლევს საშუალებას, ჩაატარონ პირისპირ შეხვედრები მოსწავლეებთან, მოაწყონ ღია კარის დღეები სკოლაში, გააკეთონ პრეზენტაციები სკოლის მოსწავლეებისთვის; სკოლა დროულად აწვდის მოსწავლეებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. **ინდიკატორი (4.2.2.1.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის დირექციის, პედაგოგების განმარტებით სკოლის ორგანიზებით პერიოდულად ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან. სკოლის დამრიგებლებით ინტერვიუებით დგინდება, რომ მე-9 და მე10 კლასების მოსწავლეები იყვნენ სსიპ შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დათვალიერეს პროფესიული მიმართულებები.

ინდიკატორი (4.2.2.2 .) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სადამრიგებლო დებულება.
- კვლევის ანკეტა.
- შემაჯამებელი კვლევის ანალიზი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლა უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეთა ადაპტირებული გარემოთი პანდუსით და ადაპტირებული საპირფარეშოთი. სკოლას აქვს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნები,(ექვსი დასკვნა) რომლის მიხედვითაც სკოლას ჰყავს ასისტენტი და სპეციალური მასწავლებელი, გათვალისწინებულია რეკომენდაციები. სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებელი და ასისტენი. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სსსმ მოსწავლესთან

მუშაობის მექანიზმებს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება N 2-36, 22.09.2025 წელი, რომლის მიხედვითაც სკოლაში შექმნილია სკოლაში სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია ცალკე დოკუმენტის სახით დამტკიცდეს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც მკაფიოდ გაიწერება სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები.

ინდიკატორი (4.2.3.1.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სკოლამ მკიცებულებად წარმოადგინა ისგ ჯგუფის ბრძანებები, შესაბამისი ოქმები, ინდივიდუალური საქმედო გეგმები.

ინდიკატორი (4.2.3.2.) შეფასდა, როგორც „ შეესაბამება“

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- მოსწავლესთან მუშაობის შედეგების ანგარიში

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს. სკოლა დამატებითი მომსახურების სახით სთავაზობს ტრანსპორტით მომსახურებას, რომელიც ცენტრალიზებულია. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ტაბელები.

ინდიკატორი 4.2.4.1. ვერ შეფასდება;

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

წარმოების პროცესში სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად **ინდიკატორი 4.2.4.2. ვერ შეფასდება;**

.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

ამ ეტაპზე სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურებას არ სთავაზობს, შესაბამისად **ინდიკატორი 4.2.4.3. ვერ შეფასდება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ტრანსპორტირების ტაბელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - **დაწყებითი განათლების საფეხური**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო განათლების საფეხური	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო განათლების საფეხური	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**

კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და მათი ინტერესების, პრიორიტეტების გათვალისწინება. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. ეს კი ცხადყოფს, რომ ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გამოვლენა და გათვალისწინება. ასევე, გაწერილია სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები სხვადასხვა ეტაპზე, როგორიცაა შემუშავება, დანერგვა, მონიტორინგი და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად მასწავლებლები ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, აჯამებენ სწავლა-სწავლების პროცესს, გამოკვეთენ დადებით მხარეებს და განსაზღვრავენ საჭიროებებს და ასახავენ მომდევნო წლის კურიკულუმში. კურიკულუმების შემუშავება ხდება, მასწავლებელთა ჩართულობით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, რასაც ძირითადად ადგენენ დაკვირვებისა და ვერბალური კომუნიკაციის შედეგად, ასევე მშობელთა უკუკავშირით, რაც თითქმის ყოველდღიურად ხდება. სასწავლო წლის დასრულებისას საგნობრივი კათედრები განიხილავენ მიღწეულ შედეგს, რა არის გასაუმჯობესებელი და გამოსასწორებელი შემდეგი წლისთვის კურიკულუმის დასახვეწად. მასწავლებლები ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ, ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, და სასკოლო კურიკულუმის მიღწევის დონე ფასდება შემოქმედებითი დავალებებით გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ სამომომავლოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესებში გააგრძელებენ სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას. კათედრების მიერ საფეხურის ფარგლებში შემუშავებულია კურიკულუმები, სადაც წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ნაწილი ხელს შეუწყობს საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში საფეხურის შედეგებზე გასვლას. კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესაძლებლობების გათვალისწინებას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის საინტერესო თემები და გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები, შედეგად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები; შეთავაზებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის

დავალებებს, სადაც ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, შინაგანი მოტივაციის გაზრდას და სწავლის სტრატეგიების დაუფლებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პოზიტიური გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა განწყობას, პიროვნულ თავისებურებებს და ინტერესებს, ითვალისწინებენ მათგან მოწოდებულ უკუკავშირს. მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავებაში გათვალისწინებულია მათ მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, წინა წლის გამოცდილება, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც თავისთავად ხელს უწყობს კურიკულუმის განავითარებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიმართულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებისაკენ.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას აქვს საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობის გამოცდილება. კურიკულუმის შემუშავებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს, ამასთანავე, მშობლების ჩართულობასა და სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას. შემუშავებული კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შეთანხმება სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად ხდება სამეურვეო საბჭოსთან და წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად. ასევე, აღნიშნულია, რომ კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და უზიარებენ წარმატებულ გამოცდილებას, რასაც იყენებენ ახალი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და ინტერვიუს მსვლელობის დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა, გარდა ამისა კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ერთობლივად გეგმავენ სკოლაზე, მატერიალურ ბაზაზე და მოსწავლეებზე ორიენტირებულ სასკოლო გეგმებს და აქტივობებს, სასწავლო პოცესისათვის საჭირო რესურსებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სკოლა იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, რომელიც აისახება შესაბამის წესებსა და პროცედურებში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია მთელი კათედრა, გარდა ამისა კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. შემუშავებული კურიკულუმის საბოლოო ვერსიის შეთახმება სასკოლო სასწავლო გეგმასთან ერთად ხდება სამეურვეო საბჭოსთან და წარედგინება პედაგოგიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი
- პედაგოგიურ საბჭოს სხდომის ოქმი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მასწავლებლების მიერ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია გრძელვადიანი მიზნები. შემუშავებული კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. სამივე საფეხურზე

	შექმნილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება შემოქმედებით დავალებებს და ითვალისწინებს, თუ რა შეძლეს მოსწავლეებმა ამა თუ იმ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა გაიაზრეს და რამდენად მიუახლოვდნენ ისინი სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს კონკრეტულ თემაში, კონკრეტული საკითხების შესწავლისას. სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია საკმაოდ კარგი კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებების იდეები. თუმცა ზოგ შემთხვევაში კურიკულუმებში შეტანილი შემოქმედებითი დავალების იდეა არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული. მაგალითად, ბუნების მე-6 კლასის და ბიოლოგიის მე-7 კლასის კურიკულუმებში არ არის შემოქმედებითი დავალეების იდეები მკაფიოდ გაწერილი. სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს საკითხთა კლასტერები, რომლებიც დაჯგუფებულია შემოქმედებითი დავალებების მიხედვით. სამივე საფეხურზე წარმოდგენილია მოსწავლეთა შემოქმედებითი პროდუქტები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მასწავლებლების რეფლექსიები. ჩანს, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. დავალებები ისეა შერჩეული, რომ კონტექსტი ცხოვრებისეულია, დავალება შეიცავს გამოწვევას, ხელს უწყობს შემოქმედებითობის ან ფანტაზის ამუშავებას. განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებლები მოსწავლეს აძლევენ დადებით უკუკავშირს და დაზუსტებისა და წახალისებას თან ურთავენ განმავითარებელ კომენტარს. ამგვარად, შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს სწავლების სამივე საფეხურზე** **რჩევა:** საბაზო საფეხურის ბიოლოგიის მე-7 კლასის და ბუნებისმეტყველების მე-6 კლასის კურიკულუმებში შემოქმედებითი დავალებების ფარგლებში შესაქმნელი პროდუქტების მკაფიოდ ჩაწერა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და გარკვეული საკითხების დამუშავებისთვის გამოიყენება შუალედური სასწავლო მიზნები/შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასწავლებლებთან ინტერვიუ იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ კურიკულუმშიგათვალისწინებული იქნა მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები. გამომდინარე იქიდან, რომ უცხო ენების სწავლებისას მთავარი ორიენტირი არის ენობრივი უნარების განვითარება, ხოლო თემები/შინაარსები არის შესაძლებლობა ამ უნარების განვითარებისათვის, საგნობრივ სტანდარტში მოცემულია საორიენტაციო თემების ჩამონათვალი, რაც იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებმა თითო საფუხურსათუ საფეხურის შესაბამის კლასში გასავლელი თემების არჩევისას, გაითვალისწინეს თავინთი მოსწავლეების სურვილები და სახელმძღვანელოში მოცემული თემებიდან აიჩიეს მათთვის საინტერესო შინაარსები, რათა მეტად მოსწავლეზე ორიენტირებული და მამოტივირებელი გამხდარიყო სასწავლო პროცესი. გარდა ამისა, მასწავლებლება გაითვაისწინეს მოსწავლეთა ენობრივი შესაძლებლობები და შესაბამისად დაგეგმეს თითოეულ შერჩეულ თემაში გასავლელი/ჩასაშენებელი საგნობრივი საკითხები. კურიკულუმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის განხორციელება მიმართულია ისეთ საკლასო გარემოზე და საგაკვეთილო პროცესზე, როდესაც საკვანძოდ მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, სადაც მოსწავლე არის სწავლა-სწავლების ცენტრში და აქტიურადაა ჩართული პროცესში. შესაბამისად, შესაძლებელი ხდება სასწავლო პროცესი მეტად მოსწავლეზე იყოს ორიენტირებული. კურიკულუმშიმოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და

	განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით გადმოსცეს და ახსნას იდეები თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ ზეპირი სახით. ამასთან ერთად, მაგალითები კონტექსტისა თუ შედარებისათვის და შერჩეული რესურსები ვალიდურია, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შესადარებელი მაგალითების განხილვაში და ცნების/ქვეცნების გააზრებაში. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ რომ ინფორმაციის დამუშავების პორცესში მათი როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა დამოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ, სკოლის მიერ წამოდგენილ კურიკულუმებში განხილული/ დაგეგმილი კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს ასახავს, რაც შესანიშნავი შესაძლებლობაა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის განხორციელებისათვის. კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის/ გადაწყვეტილების მოძებნა. ამასთან ერთად, გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ საფეხურის ყველა კლასში და ყველა საგანში, მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რომელზე მუშაობაც მოითხოვს ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას და საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. წარმოდგენილ საგნობრივ პროგრამებში იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ინდიკატორია. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის წევრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები, სამივე საფეხურზე მუსიკის და პროექტული სწავლების საგანში, ასევე საბაზო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და საშუალო საფეხურზე პროექტული სწავლების საგანში, ორიენტირებულია მოსწავლეზე და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორებს. თითოეული საგნის სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხი, შუალედური სასწავლო მიზანი, ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. კურიკულუმების ფორმირების პროცესში სკოლა პრიორიტეტულად ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებს. **თუმცა,** დაწყებითი საფეხურზე სახვით და გამოყენებითი ხელოვნების საგანში სკოლა ვერ აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმით მოთხოვნილ მოცემულობას, იკვეთება უზუსტობები, რომელიც ვერ ჩაითვლება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვად. **ინდიკატორი დაწყებით საფეხურზე დამაკმაყოფილებელია** **დაწყებით საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმში:** ✓ **II კლასში** სარეკომენდაციო თემებად მითითებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული თემატური ბლოკები (მე და გარესამყარო, ადამიანები და ხელოვნება(თუმცა კურიკულუმში წერია ,,ადამიანი და ხელოვნება“), ხელოვნება ჩვენს გარშემო), რაც არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოცემულობას; ✓ **III-IVკლასის კურიკულუმში** ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული **თემატური ბლოკები** (მე და გარესამყარო, ადამიანები და ხელოვნება, ხელოვნება ჩვენს გარშემო) **არ იყო მითითებული**, მათ მაგივრად ეწერა სარეკომენდაციო თემები (მაგ.მე 4 კლასში: ,, შთაბეჭდილებები და ემოციები, ,,წელიწადის დროები“, ,,დღესასწაული(საჩუქარი)“ და სხვ.) და/ან ქვეცნებები(მე 3

	კლასის კურიკულუმში: ,,დეკორატიულ -გამოყენებითი ხელოვნება“, ,,კომპოზიცია“და სხვ.) რაც არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოცემულობას; ✓ **III-კლასის კურიკულუმში** მითითებული სარეკომენდაციო თემები არასწორედაა ფორმულირებული, სარეკომენდაციო თემებად ქვეცნებებია (მე 3 კლასის კურიკულუმში: ,,დეკორატიულ -გამოყენებითი ხელოვნება“, ,,კომპოზიცია“)მითითებული, რაც არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოცემულობას; ✓ **III-კლასის კურიკულუმში** მე 4 თემის, ,,დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება”(რაც თავის მხრივ როგორც თემა არასწორედაა ფორმურილებული), დამუშავებისას მითითებულია საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტი, სამიზნე ცნება ,, სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები“, რაც არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოცემულობას, უნდა იყოს დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შესაბამისი სამიზნე ცნებბები: ,,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები“, ,,სახვითი ხელოვნების ჟანრები“; ✓ **V კლასის კურიკულუმში** მოცემული **საგნობრივი სტანდარტი არ შეესაბამება** ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტს, კურიკულუმში მუშავდება საბაზო საფეხურის სატანდარტი, 4 სამიზნე ცნება(სახვითი ხელოვნების მხატვრულ - გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები), სახვითი ხელოვნების ტექნიკა, სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები და სხვადასხვა ეპოქის/ მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები“, კურიკულუმში **უნდა დამუშავდეს საფეხურის(კლასის)შესაბამისი შემდეგი სამიზნე ცნებები:** სახვითი ხელოვნების მხატვრულ - გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები), სახვითი ხელოვნების ტექნიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები, სახვითი ხელოვნების ჟანრები, სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები, შესაბამისი ქვეცნებებით.

	✓ **VI კლასის** კურიკულუმში **არ ეწერა** სამიზნე ცნების ფარგლებში დასამუშავებელი კონკრეტული ქვეცნებები, შესაბამისად **არ ჩანდა** რომელი ქვეცნება მუშავდება თემასთან/საკითხთან/შუალედურ სასწავლო მიზანთან მიმართებით, სავალდებულოა დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებები თემის/საკითხის/შუალედური სასწავლო მიზნის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებებით. **არგუმენტირებული პოზიციის დასკვნის პროექტის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა, დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმები, რომელიც შესწორებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შესაბამისად.** **ინდიკატორი დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები, ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ბუნების დავალებებს და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და მის პიროვნულ განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.** **რჩევა:** სასურველია, ყველა კლასის კურიკულუმში ცნებებთან ერთად მიეთითოს ქვეცნებებიც, რომლებიც მუშავდება კომპლექსური ბუნების დავალების ფარგლებში.
მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური

	მიზნების სახით წარმოდგენილია დავალებები (დავალების იდეა), რომელთა შერჩევა განხორციელებულია კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	წარმოდგენილი კურიკულუმები შეესაბამება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის პრინციპებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას. დოკუმენტში განსაზღვრულია სავალდებულო თემები, შესაბამისი სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი ხასიათის დავალებები. სასწავლო პროცესი დაგეგმილია აქტიური და პრაქტიკული სწავლების პრინციპებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, მოსწავლეთა ფიზიკურ და მოტორულ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმი ნათლად ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების თანამედროვე პრინციპებს და წარმოადგენს სასწავლო პროცესის ეფექტიანი დაგეგმვისა და სისტემური განვითარების მნიშვნელოვან საფუძველს. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს, რაც ხელს უწყობს ინკლუზიური, თანასწორი და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნას. სწავლების პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული მიდგომები, აქტიური სწავლების მეთოდები და პრაქტიკაზე დაფუძნებული აქტივობები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს არა მხოლოდ შეიძინონ თეორიული ცოდნა, არამედ ეფექტიანად გამოიყენონ იგი რეალურ და პრაქტიკულ სიტუაციებში. სასწავლო დავალებები და აქტივობები მიზანმიმართულად არის შერჩეული და ორიენტირებულია ისეთი მნიშვნელოვანი უნარების განვითარებაზე, როგორებიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, პრობლემების გადაჭრა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და ციფრული კომპეტენციების გაძლიერება.ამასთანავე, კურიკულუმი მოიცავს შეფასების მრავალფეროვან და თანამედროვე ფორმებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის სისტემურ მონიტორინგს, მიღწევების ობიექტურ შეფასებასა და დროული, განვითარებისკენ მიმართული უკუკავშირის მიწოდებას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა

	მოტივაციის ამაღლებას, თვითშეფასების უნარის განვითარებას და სასწავლო პროცესში მათ აქტიურ ჩართულობას.საერთო ჯამში, კურიკულუმი ქმნის მოქნილ, ინოვაციურ, მოსწავლის განვითარებაზე და შედეგებზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, რომელიც პასუხობს თანამედროვე განათლების მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას ყველა მოსწავლისთვის. **ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზანზე გასვლისათვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიან მიზანზე გასვლას. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოში სწავლა-სწავლების გრძელვადიან მიზნებად წარმოდგენილია სწავლის შედეგები და საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ცნებები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირი ერთმანთთან, ქვეცნებებთან და საკითხებთან. თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილია საკითხი/საკითხთა კლასტერი, რომელიც თემის შინაარს აკონკრეტებს, ამუშავებს სამიზნე ცნებებს.

	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ ცდილობენ თემაში ყველ სამიზნე ცნების გააქტიურებას, თუმცა ზოგიერთ თემაში ყველა ცნება არ მუშავდება. მაგალითად, ფიზიკის მე-8 კლასის კურიკულუმში მეორე თემაში აკლია ცნება „ძალა“, რაც შესაძლებელია დამუშავდეს დუღილის ტემპერატურის წნევაზე დამოკიდებულების განხილვისას. ასევე მე-9 კლასის მეორე თემაში აკლია ცნება „მატერია“. კურიკულუმებში ცნებები და თემები აღებულია ეროვნული სასწავლო გეგმიდან, თუმცა მე-5 კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმში ცნებები და თემები არ შეესაბამება სტანდარტს. კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა) განვითარებას. მასწავლებლებს შესრულებული აქვთ მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირება, ანალიზი, მასწავლებლის რეფლექსია, შექმნილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება კომპლექსურ დავალებას და ითვალისწინებს, თუ რა შეძლო ამა თუ იმ მოსწავლემ კონკრეტულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა გაიაზრა და რამდენად მიუახლოვდა ის სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. ამგვარად, შემუშავებული კურიკულუმები ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების შესრულებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია სამივე საფეხურზე.** **რჩევა:** ყურადღება მიექცეს თითოეულ თემაში რაც შეიძლება მეტი სამიზნე ცნების გააქტიურებას. დავალებების კრიტერიუმების მოდიფიცირება შესაძლებელია იმგვარად, რომ მაქსიმალურად მეტი ცნება დამუშავდეს კონკრეტულ თემაში. ზოგიერთ თემაში შესაძლებელია ყველა ცნების დაფარვა. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების მე-5 კლასის კურიკულუმში ცნებების და თემების ესგ-ს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი ძირითად შემთხვევაში დაგეგმილია სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემების მიხედვით და განსაზღვრულია გრძელვადიან მიზნებზე მუშაობა შემოქმედებითი ტიპის ან პროექტული დავალებებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების ანალიზმა და მასწავლებლებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ შემუშავებული სასწავლო პროგრამა შინაარსობივად და ტექნიკურად შესაბამისობაშია ერონული სასწავლო გეგმითა და საგნის სტანდარტით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებთან, მიზნებთან და საკითხებთან. სკოლის მიერ წარმოდგენილი უცხოური ენების კურუკულუმებით დგინდება, რომ ისინი შექმნილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით დაშედეგები განისაზღვრება საფეხურის სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილებაშუალედურ სასწავლო მიზნად და შექმნილია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებულიმოცემულობის შესაბამისად. ამას გარდა, იკვეთება, რომ ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები და კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიცის განვითარების სტრატეგიები. უმეტეს შემთხვევებში, სრულყოფილადაა აღწერილი ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების ჩამონათვალი, თუმცა არის მცირე უზუსტობებიც, რაზეც დეტალურადისაუბრესინტერვიუს დროს მასწავლებლებმა და გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ საგნობრივი შინაარსები და შეუძლიათ სამიზნე ცოდნის მკაფიოდ აღწერა. უცხოური ენების მასწავლებლებს აქვთ მზაობა, რომ დაგეგმილი კურიკულუმით ხელი შეუწყონ მოსწავლის პიროვნულ ძალთაგანვითარებას და ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესის წარმოებას. წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახული შუალედური სასწავლო მიზნები და გრძელვადიანი მიზნები იძლევა შესაძლებლობას, რომ პროცესიორიენტირებული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად დაგეგმილ სასწავლო გარემოზე. კერძოდ, საგნობრივ პროგრამებშიწარმოდგენილ ძირითად საკითხებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ისეთი ტიპის შეკითხვებზე დაფიქრებას და ისეთი კოგნიტური ოპერაციებისშესრულებას, რომლებიც მიემართება ყველა ფუნქციურ-კომპონენტური უნარის გააქტიურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით და მასწავლებლებთანინტერვიუს ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებულიქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გრძელვადიან მიზნებად და აქვთ მზაობა, რომ გლობალური ფუნქციური უნარები განიხილონ უპირობოდპოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებად (და არა სასწავლო მიზნებად); მასწავლებლებს ასევე გააზრებული აქვთ, რომ სწავლის პროცესშიმოსწვალე ჩართულია კომუნიკაციაში, უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემოქმედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მსწავლელი

	ს როლი, რეფლექსია დამეტაკოგნიცური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. წარმოდგენილი კურიკულუმების გაანალიზებისას დამასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთ საკმარისი გამოცდილება და მზაობა, რომ მოსწავლეებსშესთავაზონ ისეთი ტიპის საგნობრივი საკითხები, დავალებები, თემები, ძირითადი/დამატებითი რესურსები და შეფასების ინსტრუმენტები, რაც დაეხმარება მათ პიროვნული განვითარებისთვის /ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის წევრების მიერ შემუშავებული კურიკულუმები სამივე საფეხურზე მუსიკის და პროექტული სწავლების საგანში, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ,მათ შორის პროექტული სწავლების საგანში, პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა და მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტებს. მასში ჰარმონიულად არის ინტეგრირებული სავალდებულო თემატური ბლოკები, საორიენტაციო/სავალდებულო თემები, ძირითადი საკითხები და საორიენტაციო თემები, რაც შუალედური მიზნების საშუალებით სამიზნე ცნებების სიღრმისეულ დამუშავებას უზრუნველყოფს. კურიკულუმში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში, შინაარსობრივ კომპონენტთან ერთად, მკაფიოდ არის განსაზღვრული მოსწავლის მიერ შესასრულებელი შემოქმედებითი პროდუქტის სახე. **თუმცა,** დაწყებითი საფეხურზე სახვით და გამოყენებითი ხელოვნების საგანში სკოლა ვერ აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმით მოთხოვნილ მოცემულობას, იკვეთება უზუსტობები, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს ვერ აკმაყოფილებს. **ინდიკატორი დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია** **დაწყებით საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმში:** ✓ **II კლასში** სარეკომენდაციო თემებად მითითებულია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული თემატური ბლოკები (მე და გარესამყარო, ადამიანები და ხელოვნება(თუმცა კურიკულუმში წერია ,,ადამიანი და ხელოვნება“), ხელოვნება ჩვენს გარშემო), რაც არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოცემულობას; ✓ **III-IVკლასის კურიკულუმში** ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული **თემატური ბლოკები** (მე და გარესამყარო, ადამიანები და ხელოვნება, ხელოვნება ჩვენს გარშემო) **არ არის მითითებული**, მათ მაგივრად წერია, სარეკომენდაციო თემები (მაგ.მე 4 კლასში: ,,

	შთაბეჭდილებები და ემოციები, ,,წელიწადის დროები“, ,,დღესასწაული(საჩუქარი)“ და სხვ.) და/ან ქვეცნებები(მე 3 კლასის კურიკულუმში: ,,დეკორატიულ -გამოყენებითი ხელოვნება“, ,,კომპოზიცია“და სხვ.) რაც არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოცემულობას; ✓ **III-კლასის კურიკულუმში** მითითებული სარეკომენდაციო თემები არასწორედაა ფორმულირებული, სარეკომენდაციო თემებად ქვეცნებებია (მე 3 კლასის კურიკულუმში: ,,დეკორატიულ -გამოყენებითი ხელოვნება“, ,,კომპოზიცია“)მითითებული, რაც არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოცემულობას; ✓ **III-კლასის კურიკულუმში** მე 4 თემის, ,,დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება”(რაც თავის მხრივ როგორც თემა არასწორედაა ფორმურილებული), დამუშავებისას მითითებულია საბაზო საფეხურის საგნობრივი სტანდარტი, სამიზნე ცნება ,, სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები“, რაც არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოცემულობას, უნდა იყოს დაწყებითი საფეხურის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შესაბამისი სამიზნე ცნებბები: ,,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები“, ,,სახვითი ხელოვნების ჟანრები“; ✓ **V კლასის კურიკულუმში** მოცემული **საგნობრივი სტანდარტი არ შეესაბამებოდა** ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ სტანდარტს, კურიკულუმში მუშავდება საბაზო საფეხურის სატანდარტი, 4 სამიზნე ცნება(სახვითი ხელოვნების მხატვრულ - გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები), სახვითი ხელოვნების ტექნიკა, სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები და სხვადასხვა ეპოქის/ მიმდინარეობის/სტილის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები“, კურიკულუმში **უნდა დამუშავდეს საფეხურის(კლასის)შესაბამისი შემდეგი სამიზნე ცნებები:** სახვითი ხელოვნების მხატვრულ - გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები), სახვითი ხელოვნების ტექნიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები, სახვითი ხელოვნების ჟანრები, სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები, შესაბამისი ქვეცნებებით. ✓ **VI კლასის** კურიკულუმში **არ წერია** სამიზნე ცნების ფარგლებში დასამუშავებელი კონკრეტული ქვეცნებები, შესაბამისად **არ ჩანდა,** რომელი ქვეცნება მუშავდება თემასთან/საკითხთან/შუალედურ სასწავლო მიზანთან მიმართებით, სავალდებულოა დაკონკრეტდეს სამიზნე ცნებები თემის/საკითხის/შუალედური სასწავლო მიზნის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებებით.

სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სახელმწიფო ენის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს/გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგები, სამიზნე ცნებები, საკითხები. წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა შესასრულებლად მოსწავლეს ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება და სიღმისეულად ააზრებინებს მასალას. **არგუმენტირებული პოზიციის დასკვნის პროექტის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა, დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის კურიკულუმები, რომელიც შესწორებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შესაბამისად.** **ინდიკატორი დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე, ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი ან შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში). დოკუმენტების განხილვისა და ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმები დაგეგმილია ისეთი აქტივობები, რომლებიც მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ. სავალდებულო თემების ფარგლებში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება, კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის.

	ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით შემუშავებული კურიკულუმი მკაფიოდ და თანმიმდევრულად არის ორიენტირებული საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებზე. იგი სრულად ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსობრივ, კომპეტენციურ და ღირებულებით ჩარჩოს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შესაბამისობას თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებთან და სტანდარტებთან.კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო მიზნები, მოსალოდნელი შედეგები, სწავლა-სწავლების სტრატეგიები და შეფასების მექანიზმები ერთმანეთთან ლოგიკურ და თანმიმდევრულ კავშირშია. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ეტაპობრივ და სისტემურ განვითარებას, რაც აუცილებელია მათი აკადემიური და პიროვნული წინსვლისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთი მნიშვნელოვანი კომპეტენციების განვითარებას, როგორებიცაა ციფრული წიგნიერება, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, პრობლემების გადაჭრის უნარი, ინფორმაციის ეფექტიანი გამოყენება, თანამშრომლობა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება. ეს მიმართულებები სრულ თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტებთან და პასუხობს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს.ამასთანავე, კურიკულუმი უზრუნველყოფს მიზნებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელებას, სადაც თითოეული აქტივობა, სასწავლო რესურსი და შეფასების კომპონენტი ემსახურება განსაზღვრული შედეგების მიღწევას. შეფასების სისტემა ხელს უწყობს მოსწავლეთა პროგრესის მუდმივ მონიტორინგს, მიღწევების ანალიზს და განვითარების საჭიროებების დროულ გამოვლენას, რაც სასწავლო პროცესს უფრო ეფექტიანსა და შედეგზე ორიენტირებულს ხდის. საერთო ჯამში, კურიკულუმი სრულად შეესაბამება საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, უზრუნველყოფს დასახული მიზნების ეფექტიან რეალიზებას და ქმნის ხარისხიანი, თანამედროვე და მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული განათლების მიღების მყარ საფუძველს. **ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველების I-IVკლ, მე და საზოგადოება III-IVკლ) საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. საკითხი/საკითხთა კლასტერი ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური

დაწყებითი საფეხური	(შემოქმედებითი) დავალებები, პროექტები, სხვადასხვა აქტივობები, მორგებულია შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით,საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში გაწერილი ატქივობები შესაძლებელია შესრულდეს იმ რესურსების გამოყენებით, რაც მითითებულია კურიკულუმებში. თუმცა ზოგიერთ კურიკულუმში, მაგალითად, ბიოლოგიის მე-7 კლასის კურიკულუმში მწირი რესურსებია წარმოდგენილი. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებით გათვალისწინებული აქტივობებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები საშინაო ცდებში იყენებენ იაფ და ხელმისაწვდომ რესურსს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელს ხდის სწავლის შედეგების მიღწევას. საბუნებისმეტყველო კათედრაზე აქვთ მოსწავლეების მიერ დამზადებული რესურსები. აგრეთვე სკოლას აქვს კომპიუტერები და სათანადო ელექტრონული აღჭურვილობა. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს სწავლების სამივე საფეხურზე** **რჩევა:** მეტად ჩართონ პრაქტიკაში იაფი და ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით ცდების და ექსპერიმენტების ჩატარება, ასეთი აქტივობების აღწერილობა მრავლადაა გრიფირებულ სახელმძღვანელოებში. ასევე გაამრავალფეროვნონ ელექტრონული რესურსების ჩამონათვალიც.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები ძირითად შემთხვევაში უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითად რესურსად წარმოდგენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები და ასევე დამატებით რესურსად სხვადსხვა ვიდეორგოლები, ტელესკოლის გაკვეთილები, სატელევიზიო რეპორტაჟები, დოკუმენტური ფილმები და ა.შ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმებიდან დგინდება, რომ ძირითად რესურსად კათედრა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს რომელსაც აქვს სამუშაო რვეული, აუდიო ჩანაწერები, პოსტერები, ქარდები, რაც იძლევა საგნის სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. გარდა ძირითადი რესურებისა, კურიკულუმებში მოცემულია დამხმარე ელექტრონული რესურსები, რაც შერჩეულია ეფექტურად და დანამდვილებით დაეხმარება მოსწავლეებს განსაზღვრული შედეგების მიღწევაში. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმებში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება(ხელოვნება მუსიკა))სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) წარმოდგენილია, როგორც ძირითადი სასწავლო რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ისე მრავალფეროვანი დამხმარე მასალა: ვიდეომასალა, ინტერნეტ პლატფორმები და შესაბამისი ელექტრონული ბმულები. აღნიშნული რესურსები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, სრულფასოვნად გაეცნონ სასწავლო საკითხებს და შექმნან შემოქმედებითი პროდუქტები. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსების ანალიზი ადასტურებს, რომ ისინი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:**

	სამივე საფეხურზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში, მათ შორის პროექტული სწავლება ორივე საგანში: ✓ საგნის კურიკულუმის შემუშავებისას გადამოწმდეს მითითებული ელექტრონული ბმულების/ლინკების ფუნქციურობა და ვალიდურობა; ✓ თითოეული რესურსი სასურველია დაკონკრეტდეს შინაარსობრივი მახასიათებლების მიხედვით; მაგალითად, ზოგადი მითითების ნაცვლად — „სამინისტროს რესურსი“ — მიეთითოს კონკრეტული დასახელება, ავტორი, პლატფორმა და პირდაპირი ბმული; ✓ საგანში სასურველია თემატური ბლოკის/თემის/საკითხის/პროექტის სწავლებისას მაქსიმალურად გამოიყენოს ლოკალური კულტურული მემკვიდრეობა, რაც სწავლის პროცესს უფრო შემეცნებით, ემოციურსა და დასამახსოვრებელს გახდის.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. საგნობრივ კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული/შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე კურიკულუმებში გათვალისწინებულია რესურსი, გრიფირებული თუ დამატებითი(სახელმძღვანელო და ელექტრონული რესურსი), რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**

სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმებით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები გამოიყენება სასწავლო პროცესში. კურიკულუმებში წარმოდგენილია ონლაინ რესურსები და ვიდეობმულები. ასევე, სკოლას წარმოდგენილი აქვს პრაქტიკული (კომპლექსური) დავალებების მაგალითები, სადაც მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით შემუშავებულ კურიკულუმში გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები მრავალფეროვანი, მიზნობრივი და ეფექტიანია, რაც სრულად შეესაბამება საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგებზე ორიენტირებულ მოთხოვნებს. რესურსების შერჩევა განხორციელებულია სასწავლო მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიან და შედეგიან წარმართვას. კურიკულუმში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსი, მათ შორის ციფრული პლატფორმები, ელექტრონული სასწავლო მასალები, ინტერაქტიული და ვიზუალური რესურსები, პრაქტიკული დავალებები, პროექტული აქტივობები და ტექნოლოგიური ინსტრუმენტები. თითოეული მათგანი მიზანმიმართულად არის შერჩეული და პირდაპირ უკავშირდება სასწავლო თემებს, რაც მოსწავლეებს ეხმარება როგორც ახალი ცოდნის ათვისებაში, ასევე მისი პრაქტიკულად გამოყენებისა და განმტკიცების პროცესში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რესურსების პრაქტიკული ორიენტაცია, რადგან ტექნოლოგიების სწავლება მოითხოვს არა მხოლოდ თეორიული საკითხების გააზრებას, არამედ მათი რეალურ გარემოში გამოყენების უნარის განვითარებას. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა კვლევით საქმიანობას, პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარებას, შემოქმედებით მიდგომებსა და ციფრული ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებას. ამასთანავე, რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ხელს უწყობს დამოუკიდებელი და თანამშრომლობითი მუშაობის უნარების განვითარებას, ზრდის მოტივაციას და ქმნის საინტერესო, ინტერაქტიულ სასწავლო გარემოს. მათი გამოყენება ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ციფრული

	კომპეტენციების, ინფორმაციული წიგნიერებისა და თანამედროვე ტექნოლოგიური უნარების ჩამოყალიბებაში. საერთო ჯამში, კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ეფექტიანად ემსახურება სასწავლო მიზნების განხორციელებას და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლების მიერ სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. შუალედური მიზნის მისაღებად განსაზღვრულია, შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს დიფერენცირებულ მიდგომას, რადგან მიზნის მისაღწევად გამოყენებულია სახვადასხვა ტიპის აქტივობები (დავალებები). შემუშავებული კურიკულუმებიდან ჩანს, რომ რომ სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება კონკრეტული მოსწავლის ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან, სწავლის სტილიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს არ წარმოუდგენიათ ადაპტირებული კომპლექსური ტიპის დავალებები სსსმ მოსწავლისთვის, თუმცა, შეხვედრისას მათ ისაუბრეს, თუ როგორ ახდენენ კომპლექსური ტიპის დავალებების ადაპტირებას კონკრეტული მოსწავლისთვის, როდესაც ამის საჭიროება არსებობს.

	ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს სწავლების სამივე საფეხურზე **რჩევა:** კათედრამ მეტად იმუშაოს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე, მოახდინოს კომპლექსური ტიპის დავალებების ადაპტირება სსსმ მოსწავლისთვის და შექმნას შესაბამისი შეფასების რუბრიკები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მოიცავს გარკვეული საკითხების შესწავლას შემოქმედებითი ტიპის დავალებებით, რომლებზეც მუშაობა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი ტიპის დავალებებზე მუშაობის დროს ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინტერეს, შესაძლებლობებს და ცდილობენ აქტიურად ჩართონ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული გრძელვადიანი და შუალედური სასწავლო მიზნები, თემები, საგნობრივი საკითხები და შესაბამისიკომპლექსური დავალებები იძლევაშესაძლებლობას, რომ პროცესი იყოს ორიენტირებული დიფერენცირებულ და პოზიტიურ სასწავლოგარემოზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომშემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო პროცესიკონკრეტული მოსწავლისინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარეა დაგეგმილი. ცხადია, რომ თითოეული მოსწავლეგანიხილება როგორც უნიკალური ინდივიდი თავისი უნარ- ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადიინტერესებით. ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იცნობენ დიფერენცირებულისწავლა- სწავლების პრინციპებსდა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლისწინარე ცოდნას, შესაძლებლობებს, ინტერესებს და მიყვებიან განვითარებისდინამიკას. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მოსწავლეზეორიენტირებული სწავლის მი

	დგომის მნიშვნელოვანიმახასიათებლები. კერძოდ, მათ იციან, რომრომ ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლეს აძლევს საკუთარი სწავლის პროცესისწარმართვისსაშუალებას, რისთვისაც საუკეთესო ინსტრუმენტია კომპლექსური ბუნების დავალებები, სადაცმოსწავლის ავტონომიურობა, მისი წინა რეგამოცდილება და თვითრეგულაცია წამყვანია. ასევეგამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით მათთვ ის მნიშვნელოვანია კომპეტენციებზედაფუძნებულიპროგრესი და მოსწავლეთა საჭიროებების უწყვეტი მონიტორინგი. შესაბამისად, შეიძლებაითქვას, რომ მასწავლებლებს აქვთგამოცდილება და მზაობა, რომ მოახდინონ თემატურიმატრიცების საჭიროებისამებრ ადაპტირება. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეებსთ შესთავაზონ ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა გამოკვეთოს სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორები და მოსწავლეთა ინდივიდუალურიგამოცდილებისგათვალისწინებით დაგეგმონ შესაბამისი დიფერენცირებული სასწავლო პროცესი **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრის მიერ(სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება (ხელოვნება მუსიკა)) სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი. განსხვავებული შინაარსის კომპლექსური დავალებები, მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, სხვადასხვა შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც უნდა შექმნან მოსწავლეებმა კომპლექსური დავალებების ფარგლებში, ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** დაწყებით და საბაზო საფეხურზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში:

	✓ ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების ეფექტურობის ასამაღლებლად, კურიკულუმში სასურველია აისახოს ინდივიდუალური მიდგომის სტრატეგიები. კერძოდ, მნიშვნელოვანია იმის ჩვენება, თუ როგორ ადაპტირდება დავალებები სხვადასხვა აკადემიური საჭიროებისა და დონის მქონე მოსწავლეებისთვის; ✓ კურიკულუმის ფარგლებში თემისა თუ საკითხის დამუშავებისას, შუალედური სასწავლო მიზნები სასურველია შეირჩეს და ჩამოყალიბდეს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით.
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლის საჭიროებების, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში თითოეული მოსწავლის ჩართვის მიზნით მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტარტეგიებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**
მათემატიკა	სწავლების სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება, წარმოდგენილი აქვთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმები, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სპორტი	პედაგოგოგი იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და სწავლების სტრატეგიებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური ტემპით განვითარებას. მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების დონეს, არეგულირებს ფიზიკურ დატვირთვას, სთავაზობს მოსწავლეებს სხვადასხვა სირთულის დავალებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ფიზიკური აღზრდის საგანში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით სასწავლო პროცესი დაგეგმილი და განხორციელებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების სრული გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის თანაბარ მონაწილეობას, ჩართულობასა და განვითარების შესაძლებლობას. სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობებისა და სწავლის ტემპის გათვალისწინებაზე, რაც ქმნის უსაფრთხო, მხარდამჭერ და თანასწორ საგანმანათლებლო სივრცეს. სწავლების პროცესში ეფექტიანად გამოიყენება დიფერენცირებული სწავლების მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა მრავალფეროვან საგანმანათლებლო საჭიროებებს. წარმოდგენილია სხვადასხვა სირთულის დავალებები, ალტერნატიული სასწავლო აქტივობები, ინდივიდუალურად მორგებული რესურსები და სწავლების მოქნილი ფორმები, რაც თითოეულ მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად ჩაერთოს სასწავლო პროცესში და მიაღწიოს სასურველ შედეგებს. მასწავლებელი მიზანმიმართულად იყენებს მრავალფეროვან სასწავლო მეთოდებსა და სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას, მოტივაციის ზრდას, დამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარებასა და სასწავლო მიზნების ეფექტიანად მიღწევას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თითოეული მოსწავლის პროგრესის მონიტორინგს, ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფას. სასწავლო გარემო ხელს უწყობს თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემის, ტოლერანტობისა და თანადგომის კულტურის ჩამოყალიბებას. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა იმუშაონ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, გაცვალონ იდეები, გაიზიარონ გამოცდილება და განავითარონ კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარები. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში, ისე მოსწავლეთა სოციალური და პიროვნული უნარების განვითარებაში. საერთო ჯამში, ტექნოლოგიების მიმართულებით სასწავლო პროცესი სრულად პასუხობს ინკლუზიური განათლების მოთხოვნებს, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ და სრულფასოვან ჩართულობას, ხელს უწყობს მათი პოტენციალის რეალიზებას და ქმნის განვითარებაზე ორიენტირებულ, სამართლიან და მხარდამჭერ სასწავლო გარემოს.

	ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ხდება კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება მათი შესაძლებლობის ფარგლებში. აქვთ კლასკომპლექტთან მუშაობის გამოცდილება. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ სხვადასხვა შესაძლებლობებისა და დონის მოსწავლეთა ნამუშევრები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები - როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავთარებელი. შეფასების რუბრიკები ეყრდნობა ესგ განსაზღვრულ მიზნებს, შედგენილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორ გაიაზრა მოსწავლემ სამიზნე ცნებები მოცემულ თემაში მოცემული საკითხების შესწავლისას. განმსაზღვრელი შეფასებისას გათვალისწინებულია შედეგების მიღწევის ინდიკატორები ამა თუ იმ თემაში. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მასწავლებლები შეფასების პროცესში იყენებენ ისეთ წყაროებსაც, როგორიცაა მოსწავლის წინარე ცოდნა და გამოცდილება, მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობა, რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მშობლების, ან დამრიგებლის უკუკავშირი, კლასში შემსვლელი სხვა საგნების მასწავლებელთა უკუკავშირი და სხვა.

	საგნობრივ კათედრაზე განიხილება მოსწავლეთა მიღწევები, რათა შედეგებზე დაყრდნობით გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება და დაგეგმონ შემდეგი ნაბიჯები. **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია სამივე საფეხურზე.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტებში წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები საგნების მიხედვით, ძირითად შემთხვევაში აღნიშნული რუბრიკები ეფუძნება სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემების ფარგლებში მოცემულ სწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორებს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** **რჩევა:** სასურველია **დაწყებით საფეხურზე მე და საზოგადოებისა და „ჩვენი საქართველოს** საგნების ფარგლებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეიქმნას კონკრეტული შუალედური მიზნებისთვის/დავალებებისთვის, სადაც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თუ როგორ მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრელვადიანი მიზნები, ასევე აღინიშნება სამიზნე ცნების/ცნებების შინაარსიდან გამომდინარე თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ დავალების ფარგლებში და რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, რა რეკომენდაციები, რჩევები უნდა გაითვალისწინოს.
უცხოური ენები	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის ნიმუშები რომელიცეყრდნობა საგნის სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს. მასწავლებბლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ, რომ შეფასების რუბრიკები ეფუძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. მასწავლებლებს ასევე გააზრებული აქვთ შემუშავებული რუბრიკების გამოყენების მეთოდები და სტრატეგიები .

	მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ, რომ შეფასების რუბრიკები ეფუძნება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს და აკონკრეტებს მკვიდრი წარმოდგენების შინაარსს ქვესაკითხებთან მიმართებით. მასწავლებლებს ასევე გააზრებული აქვთ შემუშავებული რუბრიკების გამოყენების მეთოდები და სტრატეგიები . ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით ასევე შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების სისტემური ხედვა და მზაობა რომ შეფასების კონცეფციის, მეთოდიკური ორიენტირებისა და მიდგომის შემუშავებით შეარჩიონ შეფასების ინსტრუმენტი (მაგ., შეიძლება მასწავლებელმა დაგეგმოს პოტფოლიოების, ჟურნალების, დღიურების გამოყენება, რადგან ეს მიდგომა და დიზაინი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განახორციელონ რეფლექსია, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროგრესს), განსაზღვრონ შეფასების ინსტრუმენტი და შეიმუშაონ შეფასების კრიტერიუმები. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**
ესთეტიკური აღზრდა	მოსწავლის და სასწავლო პროცესის შესაფასებლად სკოლის ესთეტიკური აღზრდის კათედრ (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება (ხელოვნება, მუსიკა სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო), განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს იყენებს. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებ წარმოადგინეს დოკუმენტაციის სახით. თუმცა ესთეტიკის კათედრაზე წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასება (მუსიკის საგანში დაწყებით და საბაზო და სახვითი დ გამოყენებითი ხელოვნების საგანში დაწყებით, საბაზო საფეხურზე) და განმავითარებელ შეფასების რუბრიკები (საშუალო საფეხურზე, პროექტული სწავლება ხელოვნებაშ შემუშავებული არაა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნებ შესაბამისად. შეფასების რუბრიკები ზოგადია, რთულად აღქმადი, კრიტერიუმები ცნებათ ინდიკატორებს არ მიემართება და თემას/საკითხს არ შეესაბამება. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დამაკმაყოფილებელია**

	დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურზე სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში, დაწყებით და საბაზო საფეხურზე მუსიკის საგანში,: ✓ **შეფასების სქემებში არ იკვეთება** შესაბამისობა მესამე ეროვნული სასწავლო გეგმის **საგნის სტანდარტთან.** შეფასების რუბრიკების (როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი(დაწყებითი-ორივე საგანი და ხელოვნება პროექტული) შემუშავებისას, სავალდებულოა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და პრინციპების სრული გათვალისწინება; ✓ **შეფასების რუბრიკებში უმეტესწილად აქცენტი კეთდება მოსწავლის ზოგად უნარებზე** (კლასში ჩართულობა, პრეზენტაციის უნარი, თვალსაჩინოების გამოყენება, დროის ლიმიტის დაცვადა სხვ.(სახვითი და გამოყენებით ხელოვნება)სიმღერის შესრულება, მუსიკის მოსმენა აღქმა, თანამშრომლობა, აქტიურობა (მუსიკის საგანში) და სხვ.) რუბრიკების შედგენისას ამოსავალი უნდა იყოს საგნის სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი/შუალედური სასწავლო მიზნები, ფოკუსირება კეთდებოდეს სამიზნე ცნებაზე, ქვეცნებასა და თემის ინდიკატორზე; ✓ **შეფასების რუბრიკა არ არის ფოკუსირებული** კონკრეტულ თემაზე/ საკითხზე/შუალედურ სასწავლო მიზანზე, მოცემული რუბრიკები თითოეული შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებისთვის უნდა შეიქმნას ინდივიდუალური რუბრიკა, რომელიც პირდაპირ პასუხობს მოცემულ საკითხს და არა ზოგად უნარებს; ✓ **შეფასების რუბრიკებში არ იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის** საგნის სტანდარტით განსაზღვრული თემის ინდიკატორები და **არ ხდება** მისი ადაპტირება კონკრეტულ თემაზე, სავალდებულოა, კონკრეტულ შუალედურ სასწავლო მიზნის ფარგლებში განისაზღვროს შეფასების სქემები/კრიტერიუმები; ✓ **შეფასების თითოეული რუბრიკა** უნდა მიემართებოდეს კონკრეტულ თემას/საკითხს და მკაფიო კავშირში უნდა იყოს საგნის სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებსა და თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებთან; ✓ **აუცილებელია ორივე საგანში((სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება დაწყებით (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), საბაზო(განმსაზღვრელი)და საშუალო საფეხურზე, პროექტული სწავლება ხელოვნების საგანში (განმავითარებელი) ასევე, მუსიკის საგანში დაწყებით (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), საბაზო(განმსაზღვრელი)) დეტალურად,** საგნობრივ სტანდარტებთან მიმართებით

	განისაზღვროს თემის/საკითხის/შუალედური სასწავლო მიზნის ფარგლებში კონკრეტული შეფასების რუბრიკები და დაკონკრეტდეს შეფასების კრიტერიუმები. **არგუმენტირებული პოზიციის დასკვნის პროექტის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, ორივე საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება(ხელოვნება, მუსიკა)), რომელიც შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შესაბამისად.** **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მოსწავლეები ფასდებიან როგორც განმსაზღვრელი (გარდა დაწყებითი კლასებისა), ასევე განმავითარებელი შეფასებებით. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების კრიტერიუმები. კათედრამ წარმოადგინა ორივე სახის შეფასების რუბრიკების ნიმუშები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**
მათემატიკა	შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. სტანდარტის შესაბამისად ახდენენ დაკვირვებას მოსწავლეთა განვითარების დინამიკაზე. ორიენტირებული არიან სწავლის

	ხარისხის გაუმჯობესებაზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური. შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ფასდება მოსწავლეების ჩართულობა, ტაქტიკური და ტექნიკური მომზადება, კონკრეტული სპორტის სახეობებში ტექნიკური ელემენტების დაუფლების ხარისხი. შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების ხელშეწყობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით გამოყენებული შეფასების სისტემა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებსა და ამოცანებთან. შეფასების პროცესი არის სისტემური, გამჭვირვალე, ობიექტური და შედეგზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სამართლიან და ზუსტ შეფასებას. სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ საბოლოო შედეგების განსაზღვრაზე, არამედ სწავლა-სწავლების პროცესის მუდმივ გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა განვითარების მხარდაჭერაზე. კურიკულუმში გამოყენებულია შეფასების მრავალფეროვანი ფორმები და მეთოდები, მათ შორის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, პრაქტიკული დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევებისა და პროგრესის მრავალმხრივ შეფასებას, მათი ძლიერი მხარეების გამოვლენასა და განვითარების საჭიროებების დროულ იდენტიფიცირებას. შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ არის განსაზღვრული, წინასწარ არის გაცნობილი მოსწავლეებისთვის და შეესაბამება სასწავლო მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს. ეს ხელს უწყობს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, ზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობას საკუთარი სწავლის მიმართ და აძლიერებს მათ მოტივაციას სასწავლო პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უკუკავშირის ეფექტიანი სისტემა, რომელიც მოსწავლეებს აწვდის დროულ, კონკრეტულ და განვითარებისკენ მიმართულ რეკომენდაციებს. ასეთი უკუკავშირი ეხმარება მათ საკუთარი მიღწევების გააზრებაში,

	სირთულეების დაძლევასა და შემდგომი სასწავლო ნაბიჯების დაგეგმვაში. ამასთანავე, შეფასების შედეგები გამოიყენება სწავლების პროცესის ანალიზისა და გაუმჯობესებისათვის, რაც ზრდის სასწავლო პროცესის ხარისხსა და ეფექტიანობას. ტექნოლოგიების მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეფასების სისტემა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრაქტიკული უნარების, ციფრული კომპეტენციების, პრობლემების გადაჭრის, შემოქმედებითი აზროვნებისა და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენების შეფასებას. ეს სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და თანამედროვე განათლების სტანდარტებს. საერთო ჯამში, შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა პროგრესის უწყვეტ მონიტორინგს, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას და თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებაზე ორიენტირებულ მხარდაჭერას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლების ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს***ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ საგნის კურიკულუმები
- ✓ შეფასების რუბრიკები

- ✓ კათედრის ოქმი
- ✓ კათედრის მასწავლებელთა ანგარიში
- ✓ შემაჯამებელი დავალებები
- ✓ შემოქმედებითი/ კომპლექსური დავალებები
- ✓ სასწავლო პროექტის გეგმა
- ✓ შემოქმედებითი/კომპლექსური დავალების პროდუქტები
- ✓ გაკვეთილის გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სკოლის მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო. შეფასების რუბრიკებიდან, კომპლექსური დავალებების ანალიზიდან, დავალებების შემდგომი რეფლექსიებიდან, ვერიფიკაციის დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად. სამივე საფეხურზე წარმოდგენილია აგრეთვე მოსწავლეთა ნაშრომები, რომლებიც ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია სამივე საფეხურზე.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას სამივე საფეხურის შემთხვევაში წარმოდგენილი აქვს საგნობრივი კურიკულუმები და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი აღნიშნული კურიკულუმების შესაბამისად. როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დრო გამოჩნდა, კათედრამ მიმდინარე სასწავლო წელს გარკვეული ცვლილებებით განახორციელა კურიკულუმით დაგეგმილ შუალედურ მიზნებზე მუშაობა. **რჩევა:** სასურველია, **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ 2026–2027 სასწავლო წლის დაგეგმვისა და საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისას გაითვალისწინოს მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილება. ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით,

	მიზანშეწონილია კათედრამ ყოველწლიურად განაახლოს კურიკულუმი და მასში ასახოს სავალდებულო თემების სწავლა-სწავლების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ცვლილებები. სასურველია, ყურადღება დაეთმოს სავალდებულო თემებში ძირითადი საკითხების უფრო მკაფიოდ გამოყოფასა და საჭიროების შემთხვევაში მათ გადაჯგუფებას; ასევე, ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებული დავალებების პირობების ადაპტირებას და შემოქმედებითი პროდუქტის განახლებას. მნიშვნელოვანია შეფასების კრიტერიუმების დახვეწა და შესაბამისი შეკითხვების გადამუშავებაც. ამასთან, სასურველია კურიკულუმში აისახოს ის აქტივობები და რესურსები, რომლებმაც პრაქტიკაში საუკეთესოდ შეუწყო ხელი მოსწავლეების მიერ სამიზნე ცოდნის ეფექტიანად ათვისებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად დაგეგმილია და მიმდინრეობს შემუშავებული კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები აკვირდებიან პროცესს და მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე მოდიფიცირებას უკეთებენ სასწავლო პროგრამას. შესაბამისი ცვლილებები შეაქვთ კურიკულუმშიც. ამ ეტაპისათვის, რაც კათედრას ამ კრიტერიუმთან მიმართებაში აქვს წარმოდგენილი არის ის, რომ შერჩეულია სადიაგნოსტიკო შეფასების მესამე ინსტრუმენტი, რაც გულისხმობს კომპლექსური დავალების განხორციელებასა და მოსწავლეთა თვითშესაფების საფუძველზე ანალიზის გაკეთებას. კათედრა გეგმავს სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ განახორციელოს კურიკულუმის იმპლემენტაციიის მონიტორინგი;
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება(ხელოვნება, მუსიკა))სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო)სასწავლო პროცესი წარიმართება საგნობრივი კურიკულუმის მოთხოვნათა სრული დაცვით, სადაც სწავლება ეფუძნება კონსტრუქტივიზმის

	პრინციპებს. პედაგოგები ფოკუსირებულნი არიან კურიკულუმით განსაზღვრულ თემებსა და საკითხებზე, ხოლო სწავლის პროცესის მთავარ ინსტრუმენტს შემოქმედებითი ტიპის დავალებები წარმოადგენს. შუალედური სასწავლო მიზნების რეალიზება მიმართულია მოსწავლის მიერ ცოდნის ეტაპობრივ კონსტრუირებაზე, რაც გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და საფეხურებრივ შედეგებზე გასვლის გარანტიაა. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** **რჩევა :** **სამივე საფეხურზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში:** ✓ სასურველია შესთავაზოთ მოსწავლეებს არჩევანი შემოქმედებითი დავალების პროდუქტის სახეობაში (მაგ: ესსე, პოსტერი, ციფრული პრეზენტაცია და სხვ.), რათა მათ საკუთარი შესაძლებლობების საუკეთესოდ რეალიზება შეძლონ; ✓ დავალების პირობა სასურველია მაქსიმალურად მიუახლოვდეს მოსწავლის რეალურ ცხოვრებას. მაგალითად, ეპოქის სწავლისას, რესურსად გამოიყენოს ადგილობრივი მუზეუმის ექსპონატი ან სოფლის/ქალაქის მატერიალური/ არამატერიალური კულტურის ძეგლები და სხვ.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელშიც გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეის დასახელებით, რომელიც თავისი

	შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ბუნების დავალებებს და იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**
მათემატიკა	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად ცხრილში გაწერილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები და რესურსები. კომპლექსურ დავალებები, შესაბამისი აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	სკოლაში სასწავლო პროცესი ორგანიზებულია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, რაც დასტურდება როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, ასევე მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგებით. კურიკულუმებში გაწერილი პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში. სკოლაში ტარდება შიდა სასკოლო ფესტივალები. მოსწავლეები აქტიურად იღებენ მონაწილეობას რაიონულ შეჯიბრებებში, აქვთ წარმატებები. მაგალითად, 2025 წელს მიიღეს მონაწილეობა სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში სპორტის შემდეგ სახეობებში: მძლეოსნობა, ფრენბურთი; ასევე, ხობის მუნიციპალიტეტის სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მოიპოვეს 3 ადგილი ფრენბურთში, და მე-2 ადგილი ფეხბურთში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით სასწავლო პროცესი სრულად და თანმიმდევრულად არის დაგეგმილი სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებისა და პრიორიტეტების შესაბამისად. სწავლა-სწავლების თითოეული კომპონენტი-სასწავლო მიზნები, საგაკვეთილო გეგმები,

	აქტივობები, რესურსები და შეფასების მექანიზმები-ლოგიკურად გამომდინარეობს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგებიდან, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიზანმიმართულ, ორგანიზებულ და ეფექტიან განხორციელებას.საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისას მკაფიოდ არის განსაზღვრული მოსალოდნელი შედეგები და შესაბამისი აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას. თითოეული გაკვეთილი სტრუქტურირებულია ისე, რომ მისი ყველა ეტაპი - მოტივაციის შექმნა, ახალი მასალის მიწოდება, პრაქტიკული მუშაობა, ცოდნის განმტკიცება და შეფასება - ემსახურებოდეს კონკრეტული სასწავლო მიზნების მიღწევას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას.სწავლების პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები, თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები და შესაბამისი სასწავლო რესურსები, რომლებიც სრულად შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ შინაარსსა და მოთხოვნებს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სასწავლო მასალის უკეთ გააზრებას, პრაქტიკული უნარების განვითარებასა და ცოდნის რეალურ სიტუაციებში გამოყენებას.მასწავლებელი ეფექტიანად წარმართავს სასწავლო პროცესს, იცავს დაგეგმილ სტრუქტურასა და ლოგიკურ თანმიმდევრობას, ამავდროულად კი საჭიროების შემთხვევაში ავლენს მოქნილობას და პროცესს ადაპტირებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ეს უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და სასწავლო მიზნების ეფექტიან მიღწევას.განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი კომპეტენციების განვითარებაზე, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, პრობლემების გადაჭრა, თანამშრომლობა, დამოუკიდებელი მუშაობა და ციფრული ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება. აღნიშნული სრულ თანხვედრაშია როგორც სასკოლო კურიკულუმის, ისე ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. საერთო ჯამში, ტექნოლოგიების მიმართულებით სასწავლო პროცესი ეფექტიანად ასახავს სასკოლო კურიკულუმის მიზნებსა და ამოცანებს, უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზებულ და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას და ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ, პრაქტიკულ და პიროვნულ განვითარებას. **ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გასაუბრებისას კათედრის წევრევმა დაადასტურეს, რომ სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მიხედვით და სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლაც. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლას შინაგანაწესში აღწერილი აქვს როგორ მოხდება ადამიანური რესურსის მართვა შემხვედრ საჭიროებებთან მიმართებაში, რათა არ დაირღვეს სასწავლო პროცესის უწყვეტობა. შინაგანაწესის მე-4 მუხლში წარმოდგენილია სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი და სკოლის დირექციის რეაგირების წესი.

სკოლაში სასწავლო წლის, არდადეგების დაწყებისა და დამთავრების დრო განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების შესაბამისად. სკოლაში სასწავლო პროცესის დაწყებისა და დასრულების დრო განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით. სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია როგორ შეიძლება ხდებოდეს სასკოლო კალენდარის მართვა, იმ შემთხვევაში თუ კალენდრის განსაზღვრული სასწავლო დღეები ირღვევა, კერძოდ, სასწავლო კვირა ხუთდღიანია, ექვსდღიანი სწავლება დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლაში გაცდება სასწავლო დღე/დღეები, ასევე ზამთრის სეზონზე დღის ხანგრძლივობის შემცირების ან უამინდობის გამო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, სადაც აქცენტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მასწავლებლები მიზნობრივად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას მოსწავლეთა პროგრესისთვის. საბუნებისმეტყველო კათედრამ წარმოადგინა არა მარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული დავალებებისთვის, არამედ მასწავლებლის მიერ მიცემული განმავითარებელი კომენტარი დაზუსტებასა და წახალისებასთან ერთად. შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ საბუნებისმეტყველო კათედრის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განიხილავენ შეფასების რუბრიკებს და აძლევენ ერთმანეთს რჩევებს. ეს ნათლად ჩანს იქიდან, რომ საბუნებისმეტყველო საგნების შეფასების სტანდარტიზებული რუბრიკები ერთიანი ჩარჩოთი არის წარმოდგენილი. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, აქტივობების შეფასების კრიტერიუმები, შეფასების ვერიფიკაციის სქემები - ყველაფერი მოწმობს, რომ შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია სამივე საფეხურზე.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშების განხილვის შედეგად შეიძლება აღინიშნოს, რომ მათი პრაქტიკაში სისტემური გამოყენება უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ ეტაპობრივად გადახედოს შეფასების პრაქტიკას, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რუბრიკების ხარისხისა და მათი შესაბამისობის

	გაუმჯობესებას საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებთან. მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების უფრო მიზანმიმართული გამოყენება და ხარისხიანი უკუკავშირის უზრუნველყოფა, ასევე მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა შეფასების ინსტრუმენტების ეფექტიანად დანერგვის მიმართულებით, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს უფრო გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური შეფასების სისტემის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკის ნიმუშები რომელიცეყრდნობა საგნის სტანდარტით გათვალისწინებულ მიღწევის ინდიკატორებს. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე ნათელია, რომ სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო , ობიექტური და სამართლიანი. კერძოდ, განმავითარებელი შეფასების კერძო რუბრიკა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა და შეფასების სქემა მკაფიო და დახვეწილია . ამას გარდა, მოსწავლეებს შეუძლიათ ჰქონდეთ განცდა, რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაცაა განზრახული და მიზნობრივად ფასდება მოცემული შედეგი. შესაბამისად, წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა ობიექტურობის შესაძლებლობას.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე წარმოდგენილია განმსაზღვრელი(მუსიკის საგანში დაწყებით და საბაზო და ხელოვნების საგანში დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე) და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შემუშავებული არაა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. მუსიკის დაწყებით და ხელოვნების დაწყებით საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების სისტემა არ შეესაბამება ეროვნული

	სასწავლო გეგმის მიზნებს, შეფასების რუბრიკები ზოგადია, რთულად აღქმადი, კრიტერიუმები ცნებათა ინდიკატორებს არ მიემართება და თემას/საკითხს არ შეესაბამება. შესაბამისად, შეფასების სისტემა არ არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია** **ხარვეზი** დაწყებით, საბაზო, საშუალო საფეხურზე სახვით და გამოყენებით ხელოვნების საგანში, დაწყებით და საბაზო საფეხურზე მუსიკის საგანში,: ✓ **შეფასების სქემებში არ იკვეთება** შესაბამისობა მესამე ეროვნული სასწავლო გეგმის საგნის სტანდარტთან. შეფასების რუბრიკების (როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი(დაწყებითი-ორივე საგანი და ხელოვნება პროექტული) შემუშავებისას, სავალდებულოა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებისა და პრინციპების სრული გათვალისწინება; ✓ **შეფასების რუბრიკებში უმეტესწილად აქცენტი კეთდება მოსწავლის ზოგად უნარებზე** (კლასში ჩართულობა, პრეზენტაციის უნარი, თვალსაჩინოების გამოყენება, დროის ლიმიტის დაცვადა სხვ.(სახვითი და გამოყენებით ხელოვნება)სიმღერის შესრულება, მუსიკის მოსმენა აღქმა, თანამშრომლობა, აქტიურობა (მუსიკის საგანში) და სხვ.) რუბრიკების შედგენისას ამოსავალი უნდა იყოს საგნის სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი/შუალედური სასწავლო მიზნები, ფოკუსირება კეთდებოდეს სამიზნე ცნებაზე, ქვეცნებასა და თემის ინდიკატორზე; ✓ **შეფასების რუბრიკა არ არის ფოკუსირებული** კონკრეტულ თემაზე/ საკითხზე/შუალედურ სასწავლო მიზანზე, მოცემული რუბრიკები თითოეული შემოქმედებითი/კომპლექსური დავალებისთვის უნდა შეიქმნას ინდივიდუალური რუბრიკა, რომელიც პირდაპირ პასუხობს მოცემულ საკითხს და არა ზოგად უნარებს; ✓ **შეფასების რუბრიკებში არ არის** იდენტიფიცირებული კონკრეტული თემა და საკითხი, რომლის ფარგლებშიც ფასდება მოსწავლე; ✓ **შეფასების რუბრიკებში არ ჩანს** კურიკულუმით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებთან მიმართება, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების ინდიკატორები;

	✓ **შეფასების რუბრიკებში არ იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის** საგნის სტანდარტით განსაზღვრული თემის ინდიკატორები და **არ ხდება** მისი ადაპტირება კონკრეტულ თემაზე, სავალდებულოა, კონკრეტული თემის/საკითხის/ შუალედურ სასწავლო მიზნის ფარგლებში განისაზღვროს შეფასების სქემები/კრიტერიუმები; ✓ **შეფასების თითოეული რუბრიკა** უნდა მიემართებოდეს კონკრეტულ თემას/საკითხს და მკაფიო კავშირში უნდა იყოს საგნის სამიზნე ცნებებთან, ქვეცნებებსა და თემის ფარგლებში განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებთან; ✓ **აუცილებელია ორივე საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება დაწყებით (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), საბაზო(განმსაზღვრელი)და საშუალო საფეხურზე, პროექტული სწავლება ხელოვნების საგანში (განმავითარებელი) ასევე, მუსიკის საგანში დაწყებით (განმსაზღვრელი, განმავითარებელი), საბაზო(განმსაზღვრელი)) დეტალურად,** საგნობრივ სტანდარტებთან მიმართებით განისაზღვროს თემის/საკითხის ფარგლებში კონკრეტული შეფასების რუბრიკები და დაკონკრეტდეს შეფასების კრიტერიუმები. ✓ სავალდებულოა შემუშავდეს თემის/ საკითხის/ შემოქმედებითი დავალების შესაფასებელი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკები და კრიტერიუმები, რომლებიც დაეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს; **არგუმენტირებული პოზიციის დასკვნის პროექტის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, ორივე საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება(ხელოვნება, მუსიკა), რომელიც შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის შესაბამისად.** **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. სახელმწიფო ენის კათედრის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. დავალებები ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**
მათემატიკა	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. წარმოდგენილ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასება არის ვალიდური, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.
სპორტი	სკოლამ წარადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნება სამიზნე ცნებებს და კონკრეტულ თემებს. შეფასების სისტემა ემყარება ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან პრინციპებს. მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით დანერგილი შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ეფუძნება შეფასების ფუნდამენტურ პრინციპებს - ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასების პროცესი დაგეგმილია ისე, რომ უზრუნველყოს მოსწავლეთა მიღწევების ზუსტი, თანმიმდევრული და მიუკერძოებელი განსაზღვრა, ასევე ხელი შეუწყოს მათი აკადემიური და პიროვნული განვითარების მხარდაჭერას.შეფასების ინსტრუმენტები, მეთოდები და კრიტერიუმები უშუალოდ არის დაკავშირებული სასწავლო მიზნებთან, მოსალოდნელ შედეგებსა და კომპეტენციებთან, რაც უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას. შეფასების პროცესში გამოყენებული

	აქტივობები რეალურად ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს, რომელთა განვითარებასაც ითვალისწინებს კურიკულუმი, რაც მიღებული შედეგების სიზუსტესა და მნიშვნელობას ზრდის.გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები წინასწარ არის განსაზღვრული და გაზიარებული მოსწავლეებთან. ეს მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას მკაფიოდ გააცნობიერონ შეფასების მოთხოვნები, დაგეგმონ საკუთარი სასწავლო საქმიანობა და უფრო აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. აღნიშნული მიდგომა ზრდის პასუხისმგებლობის განცდას და ხელს უწყობს თვითშეფასების უნარის განვითარებას.სისტემის სანდოობას განაპირობებს შეფასების თანმიმდევრული და სტანდარტიზებული განხორციელება. შეფასების ერთიანი კრიტერიუმებისა და მეთოდების გამოყენება უზრუნველყოფს შედეგების სტაბილურობასა და სამართლიანობას სხვადასხვა ჯგუფსა და სასწავლო სიტუაციაში. შეფასების პროცესი დაფუძნებულია მკაფიო მტკიცებულებებსა და წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სუბიექტური ფაქტორების გავლენას.ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპები დაცულია იმით, რომ მოსწავლეთა მიღწევები ფასდება მხოლოდ განსაზღვრული კრიტერიუმებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის საფუძველზე. ყველა მოსწავლეს აქვს თანაბარი შესაძლებლობა წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნა და უნარები, ხოლო შეფასების პროცესი უზრუნველყოფს მიუკერძოებელ და თანასწორ მიდგომას თითოეული მათგანის მიმართ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეფასების განვითარებისკენ მიმართული ფუნქცია. მოსწავლეები რეგულარულად იღებენ დროულ, კონკრეტულ და კონსტრუქციულ უკუკავშირს, რომელიც ეხმარება მათ საკუთარი ძლიერი მხარეების გაცნობიერებაში, გამოწვევების იდენტიფიცირებასა და შემდგომი განვითარების გზების განსაზღვრაში. აღნიშნული მიდგომა შეფასებას აქცევს არა მხოლოდ მიღწეული შედეგების დაფიქსირების, არამედ სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსწავლის პროგრესის ხელშემწყობ მექანიზმად. საერთო ჯამში, ტექნოლოგიების მიმართულებით მოქმედი შეფასების სისტემა სრულად აკმაყოფილებს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს, უზრუნველყოფს შეფასების მაღალი ხარისხის სტანდარტებს და ეფექტიანად უწყობს ხელს მოსწავლეთა შედეგებზე, პროგრესსა და განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელებას. **ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი 2.2.1.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს***ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას. სკოლა თავის საქმიანობას ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისად. ვერიფიკაციის დოკუმენტის მიხედვით შეფასების სისტემის ვერიფიკაციისთვის სკოლა იყენებს მოსწავლეთა განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული;

ვერიფიკაციის დოკუმენტის თანახმად მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
ა) ვალიდურობას;
ბ) სანდოობას;
გ) გამჭვირვალეობას;
დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ სკოლას კათედრების მიხედვით შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები, რომელიც არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების რუბრიკები მოსწავლეთათვის გამჭვირვალე და სანდოა. მასწავლებელი წინასწარ აცნობს მოსწავლეებს შეფასების რუბრიკას ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების წინ. კათედრის წევრები მუშაობენ, რათა ერთად შეიმუშაონ იმგვარი შეფასების რუბრიკები, რომლებიც იქნება ვალიდური და ობიექტურად მოხდება თითოეული მოსწავლის შეფასება.

კათედრები ამოწმებენ, თუ რამდენად გამართულად და ხარისხიანად მუშაობს შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე. კათედრის სხდომებზე განიხილება მოსწავლის ნამუშევრები, ფასდება და ანალიზდება შეფასების რუბრიკები. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით კათედრაზე ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემოქმედებითი ტიპის დავალებებისა და სემესტრული (საკლასო და საშინაო დავალებების) და შემაჯამებელი შეფასებების მიხედვით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების / ინფორმაციის / მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა არანაკლებ 3 წლის ვადით. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები სათანადოდ აღრიცხულია და შენახულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში კათედრებისა და მასწავლებელთა პორტფოლიოებში ინახება მოსწავლეთა შემოქმედებითი დავალებები. კლასისა თუ საფეხურის დაძლევა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, რომელიც საქმისწარმოების წესის შესაბამისად ატვირთულია E-flow სისტემაში. ამასთანავე, სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემაში განსაზღვრულია მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების, პორტფოლიოების, პროექტების შენახვის წესი და ფორმა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ საგნის კურიკულუმები
- ✓ შეფასების რუბრიკები
- ✓ კათედრის ოქმი

- ✓ კათედრის მასწავლებელთა ანგარიში
- ✓ შემაჯამებელი დავალებები
- ✓ შემოქმედებითი/ კომპლექსური დავალებები
- ✓ სასწავლო პროექტის გეგმა
- ✓ შემოქმედებითი/კომპლექსური დავალების პროდუქტები
- ✓ გაკვეთილის გეგმები
- ✓ მოსწავლეთა ნამუშევრები
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი
- ✓ შემაჯამებელი დავალების ანალიზი
- ✓ სასკოლო რესურსებით სარგებლობის წესი
- ✓ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების სია

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. კურიკულუმებში გაწერილი აქტივობების შესასრულებლად სამივე საფეხურის მასწავლებლები იყენებენ დამატებით რესურსებსაც. ასევე ზოგჯერ სასწავლო პროცესში კომპლექსური ტიპის დავალებების ფარგლებში მოსწავლეთა მიერ დამზადებულ პროდუქტებსაც იყენებენ რესურსებად.

	სკოლას აქვს კომპიუტერები, ინტერნეტი, ამდენად ხელმისაწვდომია ვირტუალურ რესურსები, სიმულაციები. კურიკულუმებიდან ჩანს, რომ დავალებების შესრულებისას ხშირად იყენებენ საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტებისათვის გამოსადეგ იაფ და ხელმისაწვდომ რესურსს, რაც ჩანს წარმოდგენილ ფოტომასალაზე, ასევე, მოსწავლეთა ნაშრომებიდანაც. **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია სამივე საფეხურზე.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, მოსწავლის რვეულებსა და კურიკულუმით განსაზღვრულ დამხმარე სასწავლო რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმებიდან დგინდება, რომ ძირითად რესურსად კათედრა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს რომელსაც აქვს სამუშაო რვეული, აუდიო ჩანაწერები, პოსტერები, ქარდები, რაც იძლევა საგნის სტანდარტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. გარდა ძირითადი რესურებისა, კურიკულუმებში მოცემულია დამხმარე ელექტრონული რესურსები, რაც შერჩეულია ეფექტურად და დანამდვილებით დაეხმარება მოსწავლეებს განსაზღვრული შედეგების
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ კურიკულუმებში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება(ხელოვნება, მუსიკა))სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) ინტეგრირებულია, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითად სასწავლო წყაროს გრიფირებული სახელმძღვანელოები წარმოადგენს. რესურსების შერჩევის პროცესში პრიორიტეტულად არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკობრივი

	თავისებურებები, მათი ინტერესები და ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად, კათედრა აქტიურად იყენებს როგორც გრიფირებულ და დამატებით ლიტერატურას, ისე მრავალფეროვან ელექტრონულ რესურსებსა და „ტელესკოლის“ საგანმანათლებლო გაკვეთილებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.** **რჩევა:** სამივე საფეხურზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის საგანში: ✓ სასურველია პერიოდულად გადამოწმდეს კურიკულუმში მითითებული ყველა ელექტრონული ბმულის ფუნქციურობა; ✓ სასურველია შეიქმნას „ალტერნატიული რესურსების ბაზა“, რათა ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში გაკვეთილის/შუალედური დავალების აქტივობის დინამიკა არ დაირღვეს; ✓ ნებისმიერი დამატებითი რესურსი (ვიდეო, ფოტო, სტატია) სასურველია უკავშირდებოდეს სამიზნე ცნების კონკრეტულ ქვეცნებას.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული / შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლები რესურსებს არჩევენ აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.** **რჩევა:** მიზანშეწონილია, მესამე-მეშვიდე და მეცხრე-მეთერთმეტე კლასების კურიკულუმებში, სახელმძღვანელოს გარდა, აისახოს დამატებითი რესურსებიც

	(მათ შორის, ციფრული), რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და სწავლა-სწავლების პროცესის გამრავალფეროვნებას.
მათემატიკა	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო, ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები - ვიდეო გაკვეთილები, რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას გამოიკვეთა წარმოდგენილი მატერიალური რესურსების გამოყენება.
სპორტი	საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, საკითხის შესაბამისი ელექტრონული რესურსები, წარმოდგენილი დამატებითი რესურსები ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები სისტემურად, მიზანმიმართულად და ეფექტიანად გამოიყენება სასწავლო პროცესში. რესურსების შერჩევა და გამოყენება სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებსა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიან და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.სასწავლო პროცესში ინტეგრირებულია მრავალფეროვანი რესურსები, მათ შორის ციფრული პლატფორმები, ელექტრონული სასწავლო მასალები, პრაქტიკული დავალებები, ინტერაქტიული აქტივობები, ვიზუალური რესურსები და ტექნოლოგიური ინსტრუმენტები. მათი გამოყენება ხელს უწყობს როგორც თეორიული ცოდნის გააზრებასა და განმტკიცებას, ისე პრაქტიკული უნარების, ციფრული კომპეტენციებისა და პრობლემების გადაჭრის უნარის განვითარებას.

	გასაუბრების პროცესში მასწავლებელმა მკაფიოდ, საფუძვლიანად და არგუმენტირებულად წარმოაჩინა რესურსების გამოყენების პრაქტიკა. მან დეტალურად აღწერა, თუ როგორ ახდენს კურიკულუმით განსაზღვრული რესურსების ინტეგრირებას ყოველდღიურ საგაკვეთილო საქმიანობაში, როგორ გეგმავს მათ გამოყენებას სასწავლო მიზნების შესაბამისად და როგორ უკავშირებს თითოეულ რესურსს კონკრეტულ მოსალოდნელ შედეგებს. წარმოდგენილი მაგალითები იყო რეალისტური, თანმიმდევრული და პროფესიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული, რაც ნათლად ადასტურებდა რესურსების ეფექტიან გამოყენებას სასწავლო პროცესში.მასწავლებლის განმარტებებიდან აშკარად გამოიკვეთა, რომ რესურსების გამოყენება არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ მოთხოვნას, არამედ არის გააზრებული, მიზნობრივი და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული პროცესი. თითოეული რესურსი გამოიყენება კონკრეტული საგანმანათლებლო მიზნის მისაღწევად, მოსწავლეთა ჩართულობის გასაზრდელად, სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად და სასწავლო შედეგების ეფექტიანად მისაღწევად. ამასთანავე, რესურსების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის, თანამშრომლობის, შემოქმედებითი აზროვნებისა და ციფრული ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენების უნარების განვითარებას. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის ინტერაქტიულ, თანამედროვე და მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, რომელიც სრულად პასუხობს თანამედროვე განათლების მოთხოვნებს. საერთო ჯამში, წარმოდგენილი მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ეფექტიანად, სისტემურად და მიზნობრივად არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში, ხოლო მათი გამოყენება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევასა და მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებაში. **ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასებში წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში.

	ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მიმართულების მასწავლებლებთან გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ საგნობრივ კათრდრებზე განიხილება და საბუთდება იმ დამხმარე რესურსების სანდოობა და ვალიდურობა, რომლებსაც შემდგომში სკოლა იყენებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესასრულებლად. ამდენად, სასწავლო პროცესში საჭირო დამხმარე რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად და დასაბუთებულია სასკოლო სასწავლო გეგმით დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაცია დასტურდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის რესურსების ვერიფიკაციის ოქმით. **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია სამივე საფეხურზე.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასკოლო კურიკულუმში წარმოდგენილი დამხმარე სასწავლო რესურსები ძირითად შემთხვევაში შესაბამისია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან. **რჩევა:** სასურველია **დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ყოველწლიურად ახორციელებდეს დამხმარე რესურსების შეფასებას/შერჩევას მოსწავლეთა ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებასა და მიზანმიმართულობას.

	ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია
უცხოური ენები	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდანა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ერთობლივად შეთანხმდნენ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებზე, რომლებიც შერჩეულია სასწავლო პროგრამის მიზნობრიობიდან გამომდინარე. აღნიშნული რესურსები მრავალფეროვანია, ვალიდურია და ემსახურება სწავლა- სწავლების პროცესის ეფექტურ ხელშეწყობას.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნების (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება(ხელოვნება, მუსიკა))სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) სწავლებისას სკოლა პრიორიტეტს ანიჭებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რაც პირდაპირ აისახება საგაკვეთილო პროცესის ეფექტიანობასა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნათა დაცვაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ, ხოლო მათი მიზნობრიობა და შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან წინასწარ არის განხილული კათედრის სხდომებზე. სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალებიდან, არხებიდან და პლატფორმებიდან მოძიებული მასალების სისტემური შერჩევა და კოლეგებთან განხილვა ადასტურებს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. დამხმარე სასწავლო რესურსებს მასწავლებლები არჩევენ კათედრაზე. გამოიყენება ისეთი მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.
მათემატიკა	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სპორტი	კურიკულუმებით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნოვრივ კათედრაზე განხილვის შედეგად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა, შეფასება და გამოყენება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული, მკაფიო და ხარისხზე ორიენტირებული კრიტერიუმების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათი შესაბამისობას როგორც სასწავლო მიზნებთან, ისე საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სასწავლო გარემოში მხოლოდ სანდო, ეფექტიანი და საგანმანათლებლო ღირებულების მქონე რესურსების გამოყენებას.დამხმარე სასწავლო რესურსები გადის ვალიდაციისა და შეფასების პროცესს, რომლის ფარგლებში მოწმდება მათი შინაარსობრივი სისწორე, აქტუალობა, პედაგოგიური ღირებულება, ტექნიკური გამართულობა და ასაკობრივ თავისებურებებთან შესაბამისობა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, თუ რამდენად უწყობს რესურსი ხელს მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას, პრაქტიკული უნარების განვითარებას, ციფრული კომპეტენციების ჩამოყალიბებასა და კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. სკოლა სისტემურად აკონტროლებს გამოყენებული რესურსების ხარისხს და რეგულარულად აფასებს მათ ეფექტიანობას სასწავლო პროცესში. რესურსების შერჩევისა და გამოყენების პროცესში გათვალისწინებულია როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, ისე თანამედროვე ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო ტენდენციები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მუდმივ განვითარებასა და განახლებას.

	მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესში ინტეგრირდება მხოლოდ ის დამხმარე მასალები და რესურსები, რომლებიც პრაქტიკულად ადასტურებენ საკუთარ ეფექტიანობას და რეალურ გავლენას ახდენენ მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებსა და უნარების განვითარებაზე. ეს უზრუნველყოფს რესურსების გამოყენების მიზნობრიობას, თავიდან იცილებს არასაჭირო ან დაბალი ხარისხის მასალების გამოყენებას და ზრდის სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობას.აღნიშნული მიდგომა ქმნის სტანდარტიზებულ, ხარისხის უზრუნველყოფაზე ორიენტირებულ და პროფესიულად გამართულ საგანმანათლებლო გარემოს, სადაც რესურსების შერჩევა და გამოყენება ხდება გააზრებულად, სისტემურად და შედეგებზე ორიენტირებული პრინციპების დაცვით. შედეგად, სასწავლო პროცესი უფრო ეფექტიანი, თანამედროვე და მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ხდება.საერთო ჯამში, კომპიუტერული ტექნოლოგიების საგანში დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და ვალიდაციის არსებული პრაქტიკა სრულად უზრუნველყოფს მათი ხარისხის, სანდოობისა და საგანმანათლებლო ღირებულების დაცვას, რაც მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების ეფექტიანად მიღწევისათვის. **ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ესა თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს** *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	ამჟამად სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს სსიპ ქალაქ ხობის N1 საჯარო სკოლაში. აშენდა ახალი შენობა, რომლის სარემონტო და აღჭურვითი სამუშაოები ჯერ კიდევ გრძელდება. სკოლის ახალ შენობაში არის ლაბორატორიული კაბინეტი თანამედროვე ვენტილაციით და წყალგაყვანილობით, თუმცა კაბინეტი ამჟამად ცარიელია, არ აქვს ლაბორატორიული აღჭურვილობა, ხელსაწყოები და რეაქტივები. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს შუალედური მიზნების შესაბამისად კათედრაზე წინასწარ გაწერილი და შემუშავებული სასწავლო აქტივობები, რომლებიც შესაძლებელია ჩატარდეს იაფი და ხელმისაწვდომი რესურსების გამოყენებით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასპინძელი სკოლის რესურსებს, ასევე ონლაინ რესურსებს, მოსწავლეების მიერ კომპლექსური ტიპის დავალების ფარგლებში შექმნილ პროდუქტებს, თუმცა სასწავლო აქტივობებისთვის საბუნებისმეტყველო საგნებში საბაზო და საშუალო საფეხურზე აუცილებელია სრულფასოვანი ლაბორატორია აღჭურვილობით და ხელსაწყოებით, რაც ამ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია. **ინდიკატორის მოთხოვნები დადასტურებულია დაწყებით საფეხურზე.** **ინდიკატორი საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“**

	სრულფასოვანი სასწავლო აქტივობებისთვის საბუნებისმეტყველო საგნებში საბაზო და საშუალო საფეხურზე აუცილებელია ხელმისაწვდომი იყოს ლაბორატორიული კაბინეტი საჭირო აღჭურვილობით და ხელსაწყოებით, რაც ამ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია. **რეკომენდაცია;** **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 18.06.2027 - 15.06.2028 წ.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია შეასრულოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობები მითითებული ვადების დაცვით.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხო ენების სწავლების პროცესში მოსწავლეები უზრუნველყონფილი არიან მატერიალური რესურსით. მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა გათვალისწინებულია, რაც შესაძლებელს ხდის სასწავლო პროცესი კურიკულუმისა და შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გამნხორციელდეს
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, პროექტული სწავლება(ხელოვნება, მუსიკა))სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია ადეკვატური მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით. მათი შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა რაოდენობა, სკოლის სივრცითი და მატერიალური შესაძლებლობები, ისევე როგორც ადგილობრივი საგანმანათლებლო კონტექსტი. სკოლაში არსებული რესურსული ბაზა სრულად შეესაბამება დასახულ სასწავლო მიზნებს და მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლების პროცესის ეფექტიანობას.

	ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას იძლევა, ეფექტურად წარიმართოს სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.**
მათემატიკა	სკოლას აქვს სასწავლო მატარიალური რესურსი, საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება და მორგებულია დიფერენცირებულ საჭიროებებზე. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით (სპორტული ინვენტარით), რომელიც მითითებულია საგნობრივ კურიკულუმებში. კერძოდ, სკოლას გააჩნია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის ბურთები, კალათბურთის ფარები, ნიშნულები და სხვ. ასევე, სკოლას აქვს სპორტული დარბაზი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ტექნოლოგიების მიმართულებით კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი, თანამედროვე და ფუნქციურად გამართული მატერიალური რესურსებით, რომლებიც სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნის სპეციფიკასა და საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის პირობებს როგორც ხარისხიანი თეორიული სწავლების, ისე პრაქტიკული საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებისთვის. სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსებით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით, ინტერნეტრესურსებით, ციფრული სასწავლო მასალებითა და სხვა ტექნოლოგიური საშუალებებით, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას, პრაქტიკული უნარების განვითარებასა და თანამედროვე ციფრული კომპეტენციების ჩამოყალიბებას.

	აღნიშნული რესურსები ეფექტიანად არის ინტეგრირებული სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევისათვის საჭირო პირობებს.მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და სასწავლო სივრცის ორგანიზება სრულად ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის საჭიროებებს. თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა შეუფერხებლად გამოიყენოს არსებული რესურსები, ჩაერთოს პრაქტიკულ აქტივობებში და დამოუკიდებლად ან თანამშრომლობით ფორმატში შეასრულოს სასწავლო დავალებები. ეს ხელს უწყობს სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას, პასუხისმგებლობის გაზრდასა და ინდივიდუალური პროგრესის მხარდაჭერას.სასწავლო გარემო ასევე უზრუნველყოფს უსაფრთხო, ორგანიზებულ და ეფექტიან სამუშაო პირობებს. რესურსების განთავსება, გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის სისტემა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობას, დროის რაციონალურ გამოყენებასა და სასწავლო აქტივობების ხარისხიან განხორციელებას. აღნიშნული გარემო ქმნის მოსწავლეთა მოტივაციის, ჩართულობისა და აკადემიური წარმატებისათვის აუცილებელ პირობებს. ამასთანავე, არსებული მატერიალური რესურსები იძლევა შესაძლებლობას განხორციელდეს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური და პროექტული საქმიანობა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნოლოგიების მიმართულებით სწავლების პროცესში. ეს ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრის, თანამშრომლობისა და ტექნოლოგიური უნარების განვითარებას.საერთო ჯამში, ტექნოლოგიების მიმართულებით არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ პირობებს, ქმნის თანამედროვე, უსაფრთხო და შედეგზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს და ეფექტიანად უწყობს ხელს მოსწავლეთა აკადემიურ, პრაქტიკულ და პიროვნულ განვითარებას. **ინდიკატორი სრულ შესაბამისობაშია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა აქვს საკმარისი მატერიალური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც.

	ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს *ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის*

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლაში ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა დასაქმებულთა პირადი საქმეები და შრომითი ხელშეკრულებები. შრომითი ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნები.

ვიზიტის პერიოდში წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, კონკურსის გამოცხადების ბრძანებების, მასწავლებლის შესარჩევად ღია და შიდა კონკურსის ჩატარების წესის შესახებ ბრძანების, პერსონალის პირადი საქმეების დათვალიერებით დასტურდება, რომ პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ საგნის კურიკულუმები
- ✓ შეფასების რუბრიკები

- ✓ კათედრის ოქმი
- ✓ კათედრის მასწავლებელთა ანგარიში
- ✓ შემაჯამებელი დავალებები
- ✓ შემოქმედებითი/ კომპლექსური დავალებები
- ✓ სასწავლო პროექტის გეგმა
- ✓ შემოქმედებითი/კომპლექსური დავალების პროდუქტები
- ✓ გაკვეთილის გეგმები
  - ✓ კომპლექსური დავალებების მაგალითები
  - ✓ სპორტული ინვენტარის ფოტომასალა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდება სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრული რეგულაციების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მისი სისტემურობასა და თანმიმდევრულობას. განსაზღვრულია როგორც შეფასების ფორმები, ისე მონიტორინგის ინსტრუმენტები და პროცედურები, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და მოსწავლეთა მიღწევები. მონიტორინგი მოიცავს როგორც საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებას, ასევე მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზს და სხვადასხვა ტიპის უკუკავშირის შეგროვებას. შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი მიდგომები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის პროგრესის სრულფასოვან დანახვას. მიღებული მონაცემები სისტემატურად მუშავდება და გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის, ისე კურიკულუმის განვითარებისთვის. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ შეფასება არ იყოს მხოლოდ შედეგზე ორიენტირებული, არამედ ემსახურებოდეს სწავლა-სწავლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლაში განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემების შეგროვებით, არამედ ემსახურება გამოვლენილი საკითხების გაანალიზებასა და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრას. მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირდება როგორც სასწავლო პროცესთან, ისე მოსწავლეთა მიღწევებთან დაკავშირებული გამოწვევები, რის საფუძველზეც ხდება შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა. შეფასების შედეგები გამოიყენება კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად - სწავლების მეთოდების გაუმჯობესება, დამატებითი მხარდაჭერის მექანიზმების დანერგვა, რესურსების გადანაწილება და სხვა. პროცესი ეფუძნება მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც უზრუნველყოფს, რომ მიღებული გადაწყვეტილებები იყოს მიზნობრივი და ეფექტიანი. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პრობლემების დროულ იდენტიფიცირებასა და მათზე რეაგირებას, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლაში განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესი მიმართულია არა მხოლოდ შედეგების დაფიქსირებისკენ, არამედ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისკენ. შეფასება ეფუძნება სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, როგორიცაა მოსწავლეთა აკადემიური შედეგები, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების მონაცემები,

მასწავლებელთა რეფლექსია და მოსწავლეთა თუ მშობელთა უკუკავშირი. სკოლას აქვს გამოცდილება, რომ მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებით გამოკვეთოს პრობლემები, დაადგინოს საჭიროება და მოახდინოს ეფექტური უკუკავშირი. სკოლას აქვს მზაობა ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და წახალისებას. შესაბამისად, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- ✓ სასკოლო კურიკულუმი;
- ✓ კათედრის ოქმები;
- ✓ კათედრის სამოქმედო გეგმა;
- ✓ გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;
- ✓ შეფასების რუბრიკები;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- ✓ მშობელთა გამოკითხვის შედეგები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს სკოლაში განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესი მიმართულია არა მხოლოდ შედეგების დაფიქსირებისკენ, არამედ სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისკენ. შეფასება ეფუძნება სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას, როგორიცაა მოსწავლეთა აკადემიური შედეგები, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების მონაცემები, მასწავლებელთა რეფლექსია და მოსწავლეთა თუ მშობელთა უკუკავშირი. ამგვარი

მიდგომა უზრუნველყოფს შეფასების სანდოობას და იძლევა შესაძლებლობას, რომ გამოვლენილი საჭიროებები სწორად იქნას გაანალიზებული და მათზე დროული რეაგირება განხორციელდეს.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესი ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოიცავს მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, სასწავლო გარემოს, საგნობრივ სპეციფიკასა და სკოლის რესურსებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ შეფასება არ იყოს ერთგვაროვანი და სტანდარტიზებული მხოლოდ ფორმალურად, არამედ ასახავდეს რეალურ სასწავლო პროცესსა და მოსწავლის განვითარებას კონკრეტულ პირობებში.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდს, რაც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ ინსტრუმენტებს. მათ შორის არის წერითი და ზეპირი შეფასებები, დაკვირვება, ტესტირება, კითხვარები, ფოკუსჯგუფები და უკუკავშირის სხვა ფორმები. მეთოდების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს ინფორმაციის სრულყოფილ შეგროვებას და ამცირებს სუბიექტურობის რისკს შეფასების პროცესში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასებისას გათვალისწინებულია მრავალი ფაქტორი, მათ შორის მოსწავლის პროგრესი, ჩართულობა სასწავლო პროცესში, მიღწეული შედეგები და ინდივიდუალური განვითარების დინამიკა. ასევე ყურადღება ექცევა სწავლების პროცესის ორგანიზებას, გამოყენებულ მეთოდებსა და გარემო პირობებს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასება იყოს კომპლექსური და ობიექტური. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- ✓ სასკოლო კურიკულუმი;
- ✓ კათედრის ოქმები;
- ✓ კათედრის სამოქმედო გეგმა;
- ✓ გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები;
- ✓ შეფასების რუბრიკები;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- ✓ მშობელთა გამოკითხვის შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობისა და შედეგების მიხედვით; მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე სკოლა აყალიბებს რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია კურიკულუმის გაუმჯობესებისა და მისი განხორციელების მხარდაჭერისკენ. აღნიშნული რეკომენდაციები შეიძლება მოიცავდეს როგორც შინაარსობრივ, ისე მეთოდურ ცვლილებებს, ასევე დამატებითი რესურსების ან პროფესიული განვითარების საჭიროებებს.

სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სასწავლო პროცესში ჩართული პირების მხრიდან მზრუნველობითი და მხარდამჭერი გარემოს შექმნას სასკოლო სივრცეში. სკოლაში შექმნილია ურთიერთდახმარების, ურთიერთპატივისცემის და სკოლაზე ზრუნვის ატმოსფერო, რაც თავისთავად ხელს უწყობს მოსწავლეებისთვის უსაფრთხო სასწავლო, შემოქმედებითი და განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია კურიკულუმის შექმნის პროცესში ჩართული მხარეების ფუნქცია-მოვალეობები, რაც მასწავლებელებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა საგნობრივი მიმართულებების მიხედვით. კურიკულუმის განახლება ხორციელდება დაგროვილი გამოცდილებისა და მიღებული შეფასების შედეგების გათვალისწინებით. წინა პრაქტიკის ანალიზი, გამოვლენილი გამოწვევები და მიღებული რეკომენდაციები ინტეგრირდება კურიკულუმის ახალ ვერსიაში, რაც უზრუნველყოფს მის უწყვეტ განვითარებას და გაუმჯობესებას. სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ საგნობრივ კათედრებზე წევრთა შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, სხვა საგნობრივ კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა.ამგვარი მიდგომა ქმნის საფუძველს, რომ კურიკულუმი იყოს დინამიური, რეალობაზე მორგებული და ორიენტირებული სასწავლო პროცესის ხარისხის ზრდაზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

თარიღი; 01.07.2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ზაზა ჭანტურია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თეა თავაძე- ასათიანი -

ქეთევან სადრაძე -

ნინო კილაძე -

ინგა გელაშვილი -

მარინე რეხვიაშვილი -

მეგი კაპანაძე -

მარინე კვარაცხელია

ირინე შარაბიძე

ქეთევან ქობალია

ნინო ჯოჯიშვილი